ბათუმის პორტს 49 წლით გაასხვისებენ

A4

"თქვენი აფხაზეთი"

A8

რამდენიმე PAS რუსთაველზე

B8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 16 მარტი, 2006 წელი. №56 (1208) ფასი 50 თეთრი

სპორტი

„დინამოს" სამიზნე დაეკარგა

სეზონის განახლებიდან ხუთ მატჩში ორი მარცხი, ერთი ფრე და გამოკვეთილ აუტსაიდერებთან გაჭირვებით მოპოვებული ორი გამარჯვება – ასეთი გახლავთ ანდრეი ჩერნიშოვის მოღვაწეობის მართლაც შთამბეჭდავი შედეგი.

B1

რევიუ

გერმანული აბსტრაქციონიზმი საქართველოში

გუშინ საღამოს თბილისის ისტორიის მუზეუმის, "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში სამი გერმანელი მხატვრის ბერნარდ შულცეს (1915 – 2005), ემილ შუმახერის (1912 – 1999), და ფრედ ტილერის (1915 – 1999) ნამუშევრები წარმოადგინა გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის (ifas) წარმომადგენლობამ, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის შუამავლობით შედგა.

B8

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	16/03	17 /03
თბილისი	13	12
ქუთაისი	12	14
სოხუმი	12	16
დმანისი	3	6
გორი	8	10
ონი	6	6
ზუგდიდი	12	18
ახმეტა	13	12
გაბრა	12	13
სამტრედია	13	17

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8275
ევრო	2.1886
გირვანქა სტერლ.	3.1707
რუბლი	0.0653

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
ბიზნესი	A 4
ბიზნესი	A 5
სამართალი	A 6
პროექტი	A 7
პროექტი	A 8
სპორტი	B 1
ტენდერი	B2-B7
რევიუ	B 8

რატომ უნდა ვუთხრათ "გაზპრომს" უარი?

დიანა ჩაჩუა

ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა საინფორმაციო სააგენტო "როიტერისთვის" რამდენიმე დღის წინ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვა შესაძლებელია, თუ კონტრაქტის ღირებულება და პირობები მისაღები იქნება. ***"მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ "გაზპრომი" გაზსადენში საკმაოდ მაღალ ფასს გვთავაზობს, მასზე სარემონტო სამუშაოებს დაიწყებს და აქვს სურვილი, რომ მომავალ კონტრაქტში ჩვენთვის მისაღები პირობები ჩადოს. რატომ უნდა ვუთხრათ "გაზპრომს" გადაჭრით უარი?"*** *- კითხულობს ნიკა გილაური. სავარაუდოა, რომ მინისტრმა მაღალ ფასში "ძალიან დიდი თანხა" იგულისხმა. თუმცა "გაზპრომი" რომ საქართველოში დასავლურ კომპანიებთან შედარებით გაცილებით დიდ ეკონომიკურ რისკებზეა წამომსვლელი, "24 საათის" მიერ გამოკითხული ექსპერტები, უკვე დიდი ხანია, შეთანხმდნენ.*

"როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლება ყოველთვის ალტერნატიული ენერგომომარაგების წყაროების ძიებაში იყო (ბაქო-ჯეიჰანი, ბაქო-ერზერუმი), რაც არა მარტო ენერგოუსაფრთხოების, არამედ ენერგობაზრის კომერციალიზაცია-დემონოპოლიზაციის მიზნით ხდებოდა. რაც მთავარია, ასეთი ალტერნატივა მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის გარანტი იქნება," - განუცხადა "24 საათს" ექსპერტმა ზურაბ გარაყანიძემ. ის ბოლოს განვითარებულ მოვლენებს (ირანიდან გაზის მიღება იგულისხმება) რეგიონულ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებების დასაწყისად განიხილავს.

კერძოდ, ექსპერტის შეფასებით, ერთი შეხედვით, ამ ცვლილებებს დასავლეთი-აღმოსავლეთის ენერგოკორიდორის საწინააღმდეგოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებისადმი (ირანი-სომხეთი-რუსეთი) უპირატესობის მინიჭების სახე აქვს. ზურაბ გარაყანიძის ეს მოსაზრება განსაკუთრებით გაზის ტრანზიტს ეხება.

გაგრძელება A5 გვერდზე

პატი

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიცია კვლავ დაჟინებით ითხოვს საკონტროლო-სალარო აპარატების არგამოყენებისთვის კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადავადებას, რასაც პოზიცია ასეთივე კატეგორიულობით ეწინააღმდეგება. "დემოკრატიული ფრონტის" მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გუშინ საკმაოდ ემოციურ ფონზე წარიმართა. იყო გაწევ-გამოწევა, ერთმანეთისთვის საქალაქოდეების სროლა, ყვირილი, ლანძღვა-გინება. "ცხოვრების რუდიმენტი ხარ", "პოლიტიკური "პუტანკა" ხარ", - ასე შეამკეს სახელისუფლებო ფრაქციის წევრებმა - ელდარ კვერნაძემ და თამაზ გონგაძემ კომიტეტის სხდომაზე მყოფი, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ჯონდი ბაღათურია. სამსაათიანი განხილვა სავარაუდო შედეგით დასრულდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა, თუმცა კომიტეტის უარყოფითი დასკვნა პლენარულ სხდომაზე საკითხის გატანას ხელს ვერ შეუშლის.

გაგრძელება A2 გვერდზე

კოზა დავითაშვილმა შექმნილ ვითარებას "პატური" უწოდა.

ირაკლი ლეონიძის ფოტო

აქცია დაღლამდე

თამარ მაისურაძე

პარლამენტის შენობასთან გამართულმა გუშინდელმა აქციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სოციალურ პრობლემებს მკვეთრი პოლიტიკური განცხადებებისგან ერთი ნაბიჯი აშორებს. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ განახლებულ მოვაჭრეთა აქციაზე მართალია, იგივე მოთხოვნები ჰქონდათ - სალარო აპარატებით ვაჭრობის გაუქმება და ფიქსირებული გადასახადის დაწესება – მაგრამ, ერთი კვირის წინ გამართულ აქციებთან შედარებით, გუშინ უფრო მეტი პოლიტიკური განცხადებები კეთდებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

პოლიტიკური კონგლომერატი - მათ რევოლუციური ხილვები აერთიანებთ.

აქტიურობის დრო ყოველთვის არის

საზოგადოების მოთხოვნის მინიმუმი შესრულებულია - შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხმა მაღალჩინოსანმა თანამდებობები დატოვა. თუმცა ლეგიტიმური მოთხოვნა - გამოძიება ობიექტურად წარიმართოს და ყველა დამნაშავე დაისაჯოს - ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას. ამ მოთხოვნის შესრულებაზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მათ შორის - ახალი პოლიტიკური კლიმატის შექმნაც. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტი, ხელისუფლებისთვის, რომელიც ორი წლის განმავლობაში მხოლოდ წარმატებებზე ლაპარაკობდა, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად იქცა.

ეკა კვესიტაძე

ხელისუფლებაში ვარდების რევოლუციით მოსულმა პოლიტიკურმა გუნდმა სრულიად გულწრფელად იწამა, რომ მას თავის თავში ყველაფრის შეთავსება შეეძლო - როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების ფუნქციები. იყო თვითმარი ძალა და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება სხვა ყველანაირი ძალის - მედიის, ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორის და ა. შ. - ჩარევის გარეშე შეეძლო.

ამ თეორიის ჭეშმარიტება რევოლუციიდან ცოტა ხნის შემდეგ არა მხოლოდ ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა გუნდმა დაიჯერა, არამედ საზოგადოების დიდმა ნაწილმაც. ბევრ ადამიანს გაუჩნდა განცდა, რომ ხალხმა უზარმაზარი ენერგია დახარჯა ნოემბრის გამოსვლების დროს, თავისი როლი პირნათლად შეასრულა და ახლა პასუხისმგებლობა ახალ ხელისუფლებას ეკისრებოდა. მეორეც მხრივ, ეს ენერგია ნელ-ნელა ქრებოდა და ადამიანებს ეუფლებოდათ განცდა, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებდა ამ ენერგიის ეფექტურად გამოყენებას. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ზაფხულში, როდესაც ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის ფეხზე დაყენება და ამიტომ დაშვებული შეცდომებიც ეპატიებოდა.

მაგრამ, ამ მოსაზრების პარალელურად არსებობდა საწინააღმდეგო პოზიციაც, რომელმაც რადიკალური ფორმებიც კი მიიღო. ოპოზიციისა და საზოგადოების ერთი ნაწილის სურვილი, ხელისუფლება რაღაცაში მაინც დაედანაშაულებინა, იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი - ჟურნალისტის ცემიდან დაწყებული, ოპოზიონერი პოლიტკოსის გაძარცვის ფაქტით დამთავრებული - ხელისუფლებას ბრალდებოდა. დაუსაბუთებელ ბრალდებებს კი, რომელთაც ერთი პერიოდი თითქმის შანტაჟის ფორმა მიეცა, ბუნებრივია, სახელისუფლებო გუნდი მხოლოდ თავის სასარგებლოდ იყენებდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ექსპერტები ხელისუფლებას სოციალური ფონის გათვალისწინებას ურჩევენ

ეკონომიკურ ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ ხელისუფლება სალარო-აპარატების ბაზრობებზე დადგმით წარმატებულ შედეგს მიიღებს. ისინი იმასაც ამბობენ, რომ ეს ერთ დღეში გადასაწყვეტი საკითხი არ არის და დროს და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. "ხალხი ხელისუფლებისგან სულ სხვა ნაბიჯებს ელოდა. ვთქვათ, საგადასახადო წნეხის შემსუბუქებას და ა.შ. ეს ვერ მოხერხდა და არსებული გაურკვევლობა წინააღმდეგობაში გადაიზარდა," - ამბობენ ექსპერტები.

დიანა ჩაჩუა

სალარო-აპარატების გამოყენების იდეა რომ აღრიცხვიანობის მოწესრიგებას გულისხმობს, ამაზე ექსპერტები არ დავობენ. თუმცა სხვა საქმეა, რა პირობებში აქვს ამას ადგილი.

"სინამდვილეში, სალარო-აპარატი პანაცეა არ არის, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ყველაფრის აღრიცხვას დაიწყებს. ვფიქრობ, ეს თემა ზედმეტად პოლიტიზებულია. ფაქტია, რომ პრობლემას, რომლის გადაწყვეტასაც ხელისუფლება ცდილობს, მხოლოდ სალარო-აპარატების დადგმა ვერ გადაჭრის. სხვა საქმეა, თუ ხელისუფლებას თავისი ძალის ჩვენება სურს," - მიიჩნევს ექსპერტი ირაკლი შავიშვილი და იქვე დასძენს: **"ფისკალური თვალსაზრისით ამან შეიძლება ბიუჯეტისთვის ოდნავ მეტი შემოსავალი მოიტანოს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ხელშესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. შესაძლოა, ერთი პერიოდი ეს ხალხი ძალისმიერი მეთოდებით დააშინო, მაგრამ შემდეგ... ბაზრობებზე სიგარეტის გაყიდვაც აკრძალეს, მაგრამ რა, აღარ იყიდება?"**

"24 საათის" მიერ გამოკითხულ ექსპერტებს თუ ვენდობით, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ბაზრობებსა და მცირე სავაჭრო ობიექტებს სალარო-აპარატების ხმარება არ ევალებათ. **"სალარო-აპარატები სუპერმარკეტებში და დიდ სავაჭრო დაწესებულებებში აღრიცხვიანობას ნამდვილად უწყობს ხელს. ოღონდ, მხოლოდ დიდ სავაჭრო დაწესებულებებში...,"** - ამბობს კიდევ ერთი ექსპერტი, ახალაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ დუნდუა. ეს უკანასკნელი პარლამენტთან შეკრებილი მოქალაქეების დაბალ სოციალურ დონეზე მიუთითებს, რასაც მიაწერს კიდეც მათ პროტესტს. ექსპერტის აზრით, **"ის, რომ ეს ხალხი დღეს ფულს მალავს, მათივე მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. აპარატების დადგმის შემდეგ ამ ხალხს საქონელბრუნვის და მოგების სრულად ჩვენება მოუწევთ, რაც მათი შემოსავლების კლებას ან, სულაც, გაკოტრებას გამოიწვევს. ისინი კი ხელისუფლებისგან სულ სხვა ნაბიჯებს ელოდნენ.**

გაგრძელება A2 გვერდზე

როცა თვითმხილველი ომბუდსმენია

ცოტა ხნის წინათ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მალთაყვის გზაჯვარედინთან პირადად შეესწრო, როგორ ატარებდნენ პოლიციელები უკანონო რეიდს. როგორც ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, ეს 8 მარტს მოხდა. როგორც სუბარმა ადგილზევე გაარკვია, მალთაყვის გზაჯვარედინზე მდგომი პოლიციელები საავტომობილო რეიდს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების გარეშე ატარებდნენ. მათ სახალხო დამცველს ვერც რეიდზე პასუხისმგებელი პირი დაუსახელეს. ამასთან, აღმოჩნდა რომ ღონისძიებაში მონაწილე ერთ-ერთ პირს, მანუჩარ თურქიას, საერთოდ არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მისი თქმით, იგი ჯერ არც პოლიციაში იყო სამუშაოდ მიღებული, თუმცა პოლიციის ფორმა ეცვა და ავტომატური იარაღი ეკავა.

გაგრძელება A6 გვერდზე

აქტიურობის დრო ყოველთვის არის

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ხოლო იმ კადრებმა, სადაც ნათლად ჩანდა, როგორ იღებდა ოპოზიციაში მყოფი ტელეკომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წამყვანი შალვა რამიშვილი ფულის შეკრას, ხელისუფლებას საბოლოოდ გაუხსნა გზა მორალურ კვარცხლბეკზე ასამაღლებლად. ამ კვარცხლბეკიდან ოპოზიცია, მედია, არასამთავრობო სექტორი დიდი ხნის განმავლობაში ისმენდა შეგონებებს, რომ ისინი მატყუარები, კორუმპირებულები, უპრინციპოები და არაპროფესიონალები არიან და ერთადერთი ძალა, რომელიც ამ ქვეყანაში მორალის, პატიოსნების, პროფესიონალიზმის სადარჯოზე დგას, ხელისუფლებაა.

შესაძლოა, მედიის, არასამთავრობო სექტორისა და ოპოზიციის ნაწილი ნამდვილად განიცდის პატიოსნების და პროფესიონალიზმის დეფიციტს, მაგრამ ხელისუფლება მაშინ შეცდა, როდესაც ამ ორი წლის განმავლობაში, საზოგადოების დიდი ნაწილის გამასხარავებისა და აბუჩად აგდების ფონზე, ჯიუტად ცდილობდა საკუთარი უმწიკვლოებისა და მორალური უპირატესობის დამტკიცებას (სამწუხაროდ, ამაში მას ოპოზიციის, მედიის და არასამთავრობო სექტორის ნაწილის სრულიად არაჯანსაღი ოპონირებაც დაეხმარა).

ძალაუფლებითა და მორალური უპირატესობის შეგრძნებით გამწვეული თვითდაჯერება სახელისუფლებო გუნდის წევრებზე სხვადასხვაგვარად აისახა. ზოგს ცინიკური ტონი გაუხდა, ზოგს დიდაქტიკური, ზოგი წილების გადანაწილებაში აქტიურად ჩაერთო, ზოგმა კი დაიჯერა, რომ სიტყვიერი შეპასუხებისთვის შეიძლება ადამიანი სასიკვდილოდაც კი გაიმეტო და ამისათვის პასუხს არავინ მოგთხოვს.

ამ ლეთარგიული თვითტკბობიდან ხელისუფლებას მაშინაც გაუჭირდა გამოსვლა, როდესაც საქმე უკვე არჯანსაღ ოპონირებასთან კი არა, უდანაშაულო ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობით გამოწვეულ საზოგადოების ერთსულოვან და აბსოლუტურად ლეგიტიმურ პროტესტთან ჰქონდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ძალზე დაგვიანებით და "ნაწილ ნაწილ" მოხსნა თანამდებობის პირები, რომელთა გადაყენებაც საზოგადოება უკვე თვეზე მეტია ითხოვს; საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები კი, ოპოზიციის რუსულ კავშირებზე ალაპრაკდნენ, იმის მაგივრად, რომ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის კონტრუქციული რჩევები მიეცათ. ყველაფერი ეს მიანიშნებს ერთ რამეზე: ხელისუფლებაში ადეკვატურობის ხარისხი იმაზე ნაკლებია, ვიდრე ამას რეალობა ითხოვს.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ამ ტრაგიკული მოვლენის გარშემო დაწყებულ პროცესებს სხვა კუთხიდან, უფრო ფართო პერსპექტივაში თუ შევხედავთ, არც პოზიტიური ტენდენციების დაჭერა გაძნელდება.

დემოკრატიული პროცესების დაწყება და წარმატება პირდაპირ კავშირშია ამ პროცესებში საზოგადოების აქტიურ მონაწილეობასთან. ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლებაც კი გაირყვნება ძალაუფლებისაგან, საზოგადოების მხრიდან მკაცრ კონტროლს თუ არ გძნობს.

ასე რომ, საზოგადოების კონსტრუქციულმა აქტიურობამ და ამ აქტიურობისაგან მოტანილმა შედეგებმა ხელისუფლებას საზოგადოების ძალა კიდევ ერთხელ შეახსენა. ამ ფაქტმა საზოგადოებაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ კონსტრუქციული აქტიურობის დრო ყოველთვის არის, როცა საქმე საზოგადოების ინტერესებს ეხება და - არა მხოლოდ რევოლუციის დროს. მაგრამ ნებისმიერი აქტიურობის ფასს, განსაკუთრებით კი საზოგადოების მხრიდან, პირველ რიგში, მისი კონსტრუქციული ბუნება და ტონი განსაზღვრავს.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო (CRRC-Geo) ევრაზიის ფონდი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობაზე:

კავკასიის კვლევითი რესურების ცენტრი-საქართველოს პროგრამის ასისტენტი.

ევრაზიის ფონდი წარმოადგენს აშშ გრანტის გამცემ ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა 1993წ, რათა დახმარება გაუწიოს ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს დახმარება ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში.

CRRC წარმოადგენს ევრაზიის ფონდისა და ნიუ-იორკის კარნეგი კორპორაციის ერთობლივ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევისა და პოლიტიკის ანალიზის დონის გაუმჯობესებას ლიტერატურასა და მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მკვლევარებისათვის პროფესიული ტრეინინგების მოწყობის გზით

სამუშაოს აღწერა:

დახმარების გაწევა CRRC თანამშრომელთათვის:

- CRRC-Geo მოსახლეობის აზრის ყოველწლიური გამოკითხვის კოორდინაციაში;
- მკვლევარებთან და სტიპენდიანტებთან ურთიერთობების დამყარებაში;
- CRRC მონაცემთა ბაზების განახლებაში;
- CRRC ტრეინინგებისა და საგრანტო კონკურსის პაკეტების შერჩევასა და მომზადებაში;
- მრჩეველთა საბჭოს შეხვედრების მოწყობაში;
- CRRC-ის მიერ ორგანიზებული რეგიონალური კონფერენციების, სემინარების, ტრეინინგებისა და შეხვედრების ლოჯისტიკით უზრუნველყოფაში;
- ექსპერტებისათვის კონტრაქტებისა და მემორანდუმების მომზადებაში
- და სხვა დავალებების შესრულებაში

განათლება და გამოცდილება

- უმაღლესი განათლება, სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
- რამოდენიმე დავალების ერთდროულად შესრულების უნარი;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა მაღალ დონეზე;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება.

დაინტერესების წერილი და ბიოგრაფიული მონაცემები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

CRRC-GEO ოფისი, თბილისი, კ. ჩოლოყაშვილის პრ. (ყოფილი ჭავჭავაძის პრ. 45) ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო ენისა და კულტურის უნივერსიტეტი, მე-3 სართ.

ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: dika@crrc.ge

სატელეფონო ზარები არ მიიღება.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 მარტი.

ᲞᲐᲖᲘ

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲘᲚᲘᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

სახელისუფლებო გუნდმა სხდომაზე გაიგო, რომ სალარო აპარატებს სადაც ყიდიან, თავად არ ხმარობენ ამ აპარატებს.

დეპუტატი კობა დავითაშვილი შექმნილ ვითარებას საჭადრაკო პატის მდგომარეობას ადარებს, რადგან, მისი თქმით, ორივე მხარე, პრაქტიკულად, გამოუვალ მდგომარეობაშია: თუ ხელისუფლება საკანტროლო-სალარო აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებული გამკაცრებული სანქციების იძულებით აღსრულებას დაიწყებს, ეს გაზრდის საპროტესტო ტალღას, ხოლო თუ ადმინისტრირება არ გამკაცრდება, კანონი ფარატინა ქაღალდად იქცევა.

"კონსერვატორების" ლიდერის თქმით, ოპოზიციამ და ხელისუფლებამ, თითქოს, როლები გაცვალეს. **"ჩვენ ვცდილობთ, კომპრომისზე წასვლას, მთავრობასთან დიალოგსა და მოლაპარაკებას, ხელისუფლება კი გამომწვევად იქცევა და საპროტესტო აქციების უფრო მძლავრად აგორებისკენ გვიბიძგებს,"** - აცხადებს დავითაშვილი. მისი მტკიცებით, მმართველ გუნდში არიან ძალები, რომლებსაც ხელისუფლებისა და ოპოზიციის კონსტრუქციული თანამშრომლობა არ სურთ. კობა დავითაშვილი ასეთ ფიგურად გივი თარგამაძეს ასახელებს და პოლიტიკურ ოპონენტებს აფრთხილებს, რომ ოპოზიციასთან რადიკალური დაპირისპირება, პირველ რიგში, თავად ხელისუფლებას დააზარალებს.

"დემოკრატიული ფრონტის" საკანონმდებლო ინიციატივას მთელი ოპოზიციური სპექტრი იზიარებს, მათ შორის - "მრეწველები". მათი თავკაცი ზურაბ ტყემალაძე, კობა დავითაშვილის მსგავსად, მიიჩნევს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების საკითხში გამოჩენილი სიჯიუტე, უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლების პრესტიჟს ლახავს და ქვეყნის პრეზიდენტს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

"საპროტესტო აქციების მონაწილენი თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტს უჭერდნენ მხარს, მაგრამ მათი განწყობა თანდათანობით საპირისპიროდ შეიცვალა," - აღნიშნავს ტყემალაძე. მისივე განცხადებით, ამჟამად მოქმედი კანონი სახელმწიფო მოხელეებს კორუფციისკენ უბიძგებს, რომლის სქემაც "მრეწველების" ლიდერს ასე წარმოუდგენია: საგადასახადო სამსახურის მუშაკი მივა მოვაჭრესთან და ეტყვის მას, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის არქონის გამო, კანონით, 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა ეკუთვნის, მაგრამ ბოლოს, სახელმწიფო მოხელე "მოწყალებას გამოიჩენს" და კანონის დამრღვევს, არაოფიციალურად, 200 ან 300 ლარის გადახდას "აკმარებს"...

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე კანონპროექტის ავტორმა კახა კუკავამ რამდენჯერმე დაადასტურა, რომ იგი საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მიაჩნია, რომ მათი დანერგვა ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ვიდრე ხელისუფლება გადასახადების ადმინისტრირების უკეთეს ფორმას მოძებნის, კუკავას აზრით, აუცილებელია კანონის მოქმედების გადავადება. გარდა ამისა, "დემოკრატიული ფრონტის" საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან იმ ინდმეწარმეებისა და ფიზიკური პირების გათავისუფლებას, რომლებიც საცალო ვაჭრობას ეწევიან და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპარლამენტო უმრავლესობა შეუვალია და მასზე არანაირი "შეგონება" არ ჭრის. სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ოპოზიციის მიერ შემუშავებული კანონპროექტი დაუხვეწავია, კერძოდ კი, არ იძლევა საცალოდ და ბითუმად მოვაჭრეთა დიფერენცირების საშუალებას. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ხვდება, რომ ამ საკითხში ხელისუფლების პოზიცია მაინცადამაინც მყარი ვერ არის და, ამიტომ, პროტესტის გრძნობა უჭნდება.

"საკონტროლო-სალარო აპარატები თავის რეალურ ღირებულებაზე 100 პროცენტის დამატებით იყიდება და სადაც ისინი იყიდება, იქაც კი არ წერენ ჩეკებს. საჭიროა იმის გარკვევაც, თუ ვის და როგორ შემოაქვს ეს აპარატები. ამის დადგენას სპეციალური საკომიტეტო მოსმენა უნდა მივუძღვნათ," - აცხადებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან ბუცხრიკიძე.

თეორიული შანსის ჯერ კიდევ არსებობის მიუხედავად, ოპოზიცია ხვდება, რომ საბოლოო მარცხი გარდაუვალია - "დემოკრატიული ფრონტის" კანონპროექტს ხვალინდელ პლენარულ სხდომაზე მოწონების არანაირი შანსი არა აქვს.

"გადაიხედეთ კაბინეტების მაღალი ფანჯრებიდან და მოისმინეთ, რას ითხოვს თქვენგან ხალხი," - პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე აპელირებით, ოპონენტებზე მორალურ ზეწოლას ცდილობს კახა კუკავა, მაგრამ - უშედეგოდ.

აქცია დაღლამდე

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აქციის მთავარი მასპინძლები, "ლეიბორისტები" პარლამენტის შენობასთან ხელისუფლებაზე განაწყენებულ 15 ათას მოქალაქეს ელოდნენ, თუმცა გუშინდელ შეკრებას, ნავარაუდევზე გაცილებით ნაკლები ხალხი დაესწრო.

თბილისის პარალელურად მოვაჭრეები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც გამოვიდნენ. "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა ზვიად ძიძიგურმა განცხადება იმის შესახებ, რომ სამტრედიაში თბილისისკენ მომავალი ადამიანები დააპატიმრეს, აქციის დაწყებამდე პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.

გუშინდელ აქციას განსაკუთრებული შედეგი რომ არ მოყვებოდა, საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის მიმდინარეობისას იყო ცნობილი. კომიტეტმა საკონტროლო სალარო აპარატებთან დაკავშირებით ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" ინიციატივას მხარი არ დაუჭირა და ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ პროექტს უარყოფით დასკვნა მისცა.

აქციაზე მოსული ადამიანები კი სიტყვით გამოსვლაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ხალხი ხელისუფლებას დათმობაზე წასვლას სთხოვდა და ახსენებდა, რომ ხელისუფლება მათ აირჩიეს.

"მხარს ვუჭერთ პრეზიდენტს. თუმცა მან თუ ჩვენი მოთხოვნა არ გაიგო, ვერც ჩვენ გავუგებთ მას," - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა წევრმა.

"უნდა გახსოვდეთ, რომ პარლამენტში ამ ხალხმა აგირჩიათ. უნდა გაიგოთ, რომ საკონტროლო სალარო-აპარატების ექსპლუატაციის პირობები არ გაგვაჩნია, რადგან ზოგიერთი ჩვენგანის სავაჭრო ტერიტორია იმდენად მცირე ზომისაა, რომ იქ საკონტროლო აპარატები არ განთავსდება. გარდა ამისა, ჩვენ გვესპობა ნისიად ვაჭრობის საშუალება. მოსახლეობა აღებული კრედიტების გასრტუმრებას ძლივს ახერხებს არათუ სალარო-აპარატების შეძენას," – აღნიშნა მოვაჭრე ნინო ბუკიამ.

აქციას ესწრებოდა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერი - შალვა ნათელაშვილი, დავით გამყრელიძე, კობა დავითაშვილი, კოკო გამსახურდია, აკაკი ასათიანი, გია მაისაშვილი, ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე და სხვები. მათი განცხადებით, სალარო აპარატების პრობლემასთან ერთად პოლიტიკური მოთხოვნების დაყენებას მათ ხელისუფლება აიძულებს.

გუშინ "წადი"-საც ყვიროდნენ. რის შემდეგაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც გაიხსენეს. ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, რომ **"სწორედ ამ აქციებმა ჩაუყარა ოპოზიციის გაერთიანებას საფუძველი."**

ხელისუფლებას ფიქსირებული გადასახადის დაწესების თაობაზე მოსაფიქრებელი ვადა ოპოზიციამ 17 მარტამდე მისცა. "აქციები მანამ არ შეწყდება, ვიდრე მას რეალური შედეგი არ მოყვება. არ დაიღალოთ აქციით და შედეგს აუცილებლად მიაღწევთ," – ამ სიტყვებით დაემშვიდობნენ აქციის თავკაცები მოვაჭრეებს.

ექსპერტები ხელისუფლებას სოციალური ფონის გათვალისწინებას ურჩევენ

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუ მათ დღევანდელ საგადასახადო კოდექსს სრულად მივუსადაგებთ, ბუნებრივია, ბიუჯეტში 12 მილიონზე მეტი შევა. მაგრამ ეს ამ ხალხის ჯიბეების ხარჯზე მოხდება."

12 მილიონი ლარი არ არის ის ეფექტი, რაზეც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის აგება შეიძლება - მიიჩნევს მიხეილ დუნდუა. მისი შეფასებით, სხვა ისეთი სფეროებიც არსებობს, საიდანაც გაცილებით დიდი ეფექტის მიღება შეიძლება. **"როდესაც საბაჟო გადასახადის გაუქმებაზე ვსაუბრობთ, სადაც 80 მილიონი ლარის დაკარგვაა ნავარაუდევი, ამ დროს მხოლოდ იმპორტიორი და უცხოეთში დასაქმებული მოქალაქეები მოიგებენ. იმპორტიორებს 80 მილიონ ლარს ვპატიობთ, ადგილობრივი მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის კი 12-მილიონლარიანი შეღავათის მიცემა არ გვსურს,** - აღნიშნავს ექსპერტი, - **აღრიცხვიანობის მოწესრიგება ხელისუფლებამ არა ქვედა რგოლიდან, არამედ მსხვილი ბიზნესიდან უნდა დაიწყოს. ეს უფრო ეფექტური, ქმედითი ნაბიჯი იქნება და, ამასთან, ნაკლებ სოციალურ პრობლემებს შექმნის."**

როგორც ექსპერტი კახა უგულავა ამბობს, წვრილი მოვაჭრეებისთვის სალარო-აპარატების გამოყენება ძნელი იქნება. **"მოვაჭრეთა ის კატეგორია, რომელიც დღეს ქუჩაში გამოდის, ალბათ, ფიქსირებულ გადასახადს უნდა იხდიდეს. მეორე საკითხია, ქვეყნისთვის წვრილი ბიზნესის არსებობა რამდენად მომგებიანია,"** - აცხადებს უგულავა.

მოკლედ

თბილისში გზების რეაბილიტაცია დაიწყო

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა დედაქალაქში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. დღეს მიმდინარე წელს პირველად დაიწყება გლდანი-ნაძალადევის რაიონში დადიანის ქუჩის (ნაძალადევის მეტროდან კინო საქართველომდე მონაკვეთზე) ტრამვაის რელსების აყრა და ახალი გზის დაგება. როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა აღნიშნა, გზის ამ მონაკვეთის მოწესრიგებას 117 სამუშაო დღეს დასჭირდება.

სწორედ ეს ვადაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ახალი გზის დასაგებად ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან. დადიანის ქუჩის აღნიშნული მონაკვეთის შემდეგ დედაქალაქში 17 ქუჩის კეთილმოწყობა დაიწყება.

ცნობისთვის, მიმდინარე წელს დედაქალაქში სულ 54 ქუჩა შეკეთდება. ამისთვის თბილისის ბიუჯეტში 60 მილიონი ლარია გათვალისწინებული. აქედან 54 მოხმარდება ასფალტის ახალი საფარის დაგებას, ხოლო დარჩენილი თანხა 6 მილიონი ქუჩების შეკეთებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

გრიპის ვირუსით ინფიცირებულთა ნაკადი იზრდება

ინფექციურ საავადმყოფოებსა და პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში A ტიპის გრიპის ვირუსით ინფიცირებულთა ნაკადი არ წყდება. გრიპის ვირუსით ძირითადად ბავშვები ავადდებიან. ორი დღის განმავლობაში ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში 3 მცირეწლოვანი მოათავსეს. გაცილებით დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც საავადმყოფოს მიმართეს, თუმცა სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებენ.

კვლავ საგანგებო რეჟიმში მუშაობს თბილისის 54-ვე პოლიკლინიკა. როგორც „მედიანიუსს" N19 ბავშვთა პოლიკლინიკის დირექტორმა გიორგი ლეკვეიშვილმა განუცხადა, ყოველდღიურად პირველადი ჯანდაცვის ობიექტს 1000-1500 პაციენტი მიმართავს. ვირუსით ინფიცირებული მოსახლეობის დიდი რაოდენობა აკითხავს იმ კლინიკებსაც, რომლებიც სახელმწიფოს დაფინანსებაზე არ არიან. „ბოლო დღეებში ვირუსით დაავადებული უამრავი ბავშვი შემოდის. ყოველდღიურად 5-7 მცირეწლოვანი კლინიკაში რჩება, რადგან სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებს. თუმცა არ გვქონია არც ერთი შემთხვევა, რომ ვირუსმა ბავშვის ჯანმართელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ექიმთან კონსულტაციის გაზრდილი მოთხოვნილება გავრცელებული პანიკური შიშის ბრალია," - განუცხადეს „მედიანიუსს" დავით იაშვილის სახელობის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს მიმღებში. **მედიანიუსი.**

საქართველოში ელექტროენერგიის წყარო შეიძლება მალე მოისპოს

რამდენიმე წელიწადია, რაც წალენჯიხის რაიონ სოფელ მუჟავასთან მდებარე ენგურჰესის წყლის გამტარი უსაფრთხო გვირაბი დაზიანებულია. მდინარის ამოხეთქვის გამო, მთელი სოფელი დამეწყრილია. ახლო მომავალში, შესაძლოა, 30 ოჯახი უსახლკაროდ დარჩეს. სოფლის მოსახლეობამ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრს ნაზი არონიას მიმართა და დახმარება სთხოვა.

არონია ამ საკითხის შესასწავლად სამთავრობო კომისიის შექმნას მოითხოვს, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ფინანსთა, ენერგეტიკის და გარემოს დაცვის სამინისტროს კადრებით.

არონიას ინფორმაციით, ენგურჰესსაც რამოდენიმე წელი დარჩა არსებობისათვის. მისი თქმით, თუ ენგურჰესის რეაბილიტაციაც ძირეულად არ მოხდება, სავალალო მდგომარეობა შეიქმნება. **24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

დასავლეთი პალესტინაში არეულობებით შეშფოთებულია

სპეცოპერაციის პროვოცირება პალესტინის ახალმა მთავრობამ მოახდინა.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ, აშშ-მ და ევროკავშირმა პალესტინელებს ავტონომიის ტერიტორიაზე ძალადობის შეწყვეტისაკენ მოუწოდეს.

პალესტინაში უწესრიგობები მას შემდეგ დაიწყო, რაც სამშაბათს ისრაელის არმიის ქვედანაყოფებმა იერიქონის ციხე შტურმით აიღეს და პალესტინელ პატიმართა ჯგუფს, მათ შორის, 2001 წელს ისრაელის ტურიზმის მინისტრის მკვლელობაში ბრალდებულ აჰმედ საადათს დანებება აიძულეს. საადათის ბრიტანელი ადვოკატის დენიელ მაკჰოვერის განცხადებით, მისი კლიენტი ოთხი წლის განმავლობაში უკანონოდ იყო დაპატიმრებული.

"საადათს ბრალდება არ ჰქონდა წაყენებული, იგი არც გაუსამართლებიათ და მისთვის ოფიციალურად არც არავითარი აღმკვეთი ღონისძიება გამოუტანიათ," - აღნიშნა მაკჰოვერმა.

სპეცოპერაციის პროვოცირება პალესტინის ახალმა მთავრობამ მოახდინა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ პატიმრების გათავისუფლების პირობა დადო.

პალესტინის განმათავისუფლებელი ფრონტის წარმომადგენელთა განცხადებით კი, იერიქონის ციხეზე იერიშსა და საადათის უკანონო ტყვეობას უპასუხოდ არ დატოვებენ.

ებრაელი სამხედროების ქმედების საპასუხოდ, პალესტინელმა ექსტრემისტებმა 9 უცხოელი გაიტაცეს. მათ შორის იყვნენ აშშ-ს, ავსტრალიის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის მოქალაქეები. მოგვიანებით 6 მათგანი გაათავისუფლეს, თუმცა საფრანგეთის - ორი და სამხრეთ კორეის ერთი მოქალაქე კვლავ ტყვეობაში რჩება.

იერიქონში განვითარებული მოვლენების გამო პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ევროპაში ვიზიტი შეწყვიტა, რომლის მიზანიც პალესტინის ავტონომიისადმი ფინანსური დახმარების შესახებ მოლაპარაკებების წარმოება იყო. ევროკავშირი პალესტინის ფინანსურ დონორთა შორის ყველაზე მსხვილი ორგანიზაციაა, მის მიერ გაწეული დახმარების რაოდენობა წლიურად 340 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება. მაჰმუდ აბასმა დაგმო იერიქონში ისრაელის მოქმედება, მაგრამ მან ოფიციალური თელ-ავივის გარდა, საერთაშორისო დამკვირვებლებიც გააკრიტიკა, რომლებიც ზემოაღნიშნულ ციხეს იცავდნენ, მაგრამ გასულ კვირას უსაფრთხოების გარანტიების არქონის მიზეზით დატოვეს იგი.

კრიტიკული განცხადებები, თავის მხრივ, ევროკავშირმაც გააკეთა, რომელმაც დაგმო ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ ციხის შტურმით აღება და პალესტინელთა მიერ მოწყობილი უწესრიგობები. ევროკავშირის წარმომადგენლებმა არც ფინანსური დახმარების შეწყვეტის შესაძლებლობა გამორიცხეს იმ შემთხვევაში, თუკი პალესტინაში ევროპის კავშირის კომპლექსებზე თავდასხმა და დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეების გატაცება არ შეწყდება.

24 საათი

ირანზე ზეწოლა გრძელდება

გაერო-ს უშიშროების საბჭოს 15 წევრი-ქვეყნის წარმომადგენლებმა ნიუ-იორკში ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე რეზოლუციის პროექტი განიხილეს. როგორც იუწყებიან, უშიშროების საბჭოს სამი მუდმივი წევრი - აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი - მხარს უჭერენ პროექტს, რომლის მიხედვითაც ირანს გაერო-ს მოთხოვნების შესასრულებლად, კერძოდ, ურანის გამდიდრების შესაწყვეტად ორი კვირა ეძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, - ნათქვამია დოკუმენტში, - ირანის წინააღმდეგ სანქციები დაწესდება.

უშიშროების საბჭოს დანარჩენი ორი მუდმივი წევრი - რუსეთი და ჩინეთი - ირანთან მოლაპარაკების გაგრძელების წინადადებით და სანქციების შემოღების წინააღმდეგ გამოდიან. ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ სამშაბათს განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ბირთვული პროგრამის შემდგომ განვითარებაზე უარს არავითარ შემთხვევაში არ იტყვის.

"გაერო-ს უშიშროების საბჭოში რამდენიმე არაოფიციალური შეხვედრაც გაიმართა და ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ უშიშროების საბჭოს წევრებს შორის ირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს," - განაცხადა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰამიდ რეზა ასეფიმ.

ირანელი დიპლომატის თქმით, ირანის "ბირთვული დოსიეს" ირგვლივ არსებული ვითარება არამართლ რესპუბლიკის უფლებების სრულ იგნორირებას, არამედ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ავტორიტეტის დაცვასაც ანუ ამ ორგანიზაციის მუშაობის ტექნიკური და სამართლებრივი ასპექტების გამართლებას ემსახურება. გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა პარასკევს გაიმართება. ირანელი მაღალჩინოსნები წინასწარი შეფასებებისაგან თავს იკავებენ და მოვლენების განვითარებას ელოდებიან.

24 საათი

არასერიოზული ინიციატივა

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ჰააგის სასამართლოში თბილისის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს. არაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტმა ამ დღეებში მიიღო დეკლარაცია ქართული მხარის მიერ ოსების გენოციდის შესახებ.

ცხინვალს ზარალიც დათვლილი აქვს. კოკოითის ხელისუფლება 18 მილიარდ 200 მილიონ აშშ დოლარის ანაზღაურებას ითხოვს.

კოკოითის წარმომადგენელი რუსეთში დიმიტრი მედოევი აცხადებს, რომ ჰააგის სასამართლოსთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება ცხინვალში უკვე დაიწყო.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე მედოევმა განაცხადა, რომ 1989-1992 წლებში ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 100 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, ხოლო 3,5 ათასი ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მისი თქმით, ცხინვალში 180 სახლია დანგრეული. **"საერთო ზარალმა 18,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. სამხრეთ ოსეთი ამ ზარალისგან თავის დაღწევას ვერ ახერხებს და, ამიტომ, ჩვენ ჰააგის სასამართლოს უნდა მივმართოთ,"** – აღნიშნა მედოევმა.

მისი თქმით, სარჩელი ორნაწილიანი იქნება. სასარჩელო განცხადების ერთ ნაწილში სამხრეთ ოსეთის პარლამენტი მიმართავს რუსეთის სახელმწიფო დუმას, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ჩრდილო ოსეთის პარლამენტს და ასევე მთელს მსოფლიო საზოგადოებას, რათა მათ აღიარონ ოსი ხალხის გენოციდი. სარჩელის მეორე ნაწილში კი დაზარალებულები ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ზარალის ანაზღაურების თხოვნით მიმართავენ.

საინტერესოა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სწორედ გუშინ მიიღო განცხადება ჰააგის ტრიბუნალის საქმიანობის არაადეკვატურობისა და მისი შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების აღნიშნულ ინიციატივას არასერიოზულს უწოდებს. მისი თქმით, ჰააგის სასამართლო იხილავს დავებს სახელმწიფოებს შორის, **"ამიტომ სამხრეთ ოსეთის სარჩელის განხილვაზე საუბარი არასერიოზულია."**

საერთაშორისო სისხლის სასამართლოს ასოციაციის წევრის, პროფესორ პაატა დავითაიას განცხადებით, ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების განცხადებას ჰააგის სასამართლოში არ მიიღებენ. მისი თქმით, პირველ რიგში, აღნიშნული სასამართლო განიხილავს კატეგორიების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, რომლებიც 2002 წლის შემდეგ იქნა ჩადენილი, რასაც საქართველოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

გარდა ამისა, როგორც პაატა დავითაია აღნიშნავს, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში იციან ის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში არიან სეპარატისტული რეჟიმები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას არ ემორჩილებიან.

"საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანა შეუძლია საქართველოს სახელმწიფოს ან საქართველოს რომელიმე მოქალაქეს," - განაცხადა დავითაიამ და დასძინა: **"დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია."**

24 საათი

ნატო-ს წინასწარი შეფასება სტუდენტებს გააცნეს

ნათია მსხილაძე

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და "ნატო-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის" წარმომადგენლებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს გუშინ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) გააცნეს, რომლის შესრულება უკვე ორი წელიწადია მიმდინარეობს და ამ თვეში დასრულდება.

სტუდენტები პროგრამის შეფასებით დაინტერესდნენ. ორგანიზატორების განცხადებით, პროგრესი ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ყველა მიმართულებაში შეიმჩნევა, თუმცა, გადავა თუ არა საქართველო ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP), უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

საქართველო ნატო-ს ექსპერტთა დასკვნის მოლოდინშია. სწორედ მასზეა დამოკიდებული საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შემდგომი ეტაპი და მიიღებს თუ არა საქართველო წლის ბოლომდე გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. ნატო-ს ექსპერტები დასკვნას აპრილში მოამზადებენ და საქართველოში გამოგზავნიან.

IPAP-ის ფარგლებში საქართველომ რეფორმები და ცვლილებები სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში განახორციელა.

ნატო-ს შემფასებელთა მისიის ხელმძღვანელმა ფრენკ გოლანდმა, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები დადებითად შეაფასა. მისიის განსაკუთრებული მოწონება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანმა გეგმამ და მისი შესრულების მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა დაიმსახურა.

ექსპერტთა შვიდკაციანი დელეგაცია, რომელიც საქართველოში მარტში იმყოფებოდა, თავდაცვის უწყებაში გატარებული რეფორმებითაც კმაყოფილი დარჩა.

თავდაცვის სამინისტროში გამართული სამდღიანი ინტენსიური შეხვედრების შემდეგ, ნატო-ს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს უფროსი ფრენკ გოლანდი მედიასთან საუბრისას აცხადებდა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელებული რეფორმებით კმაყოფილია.

ქართული მხარეც ნატო-ს დელეგაციასთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა და ნატო-ს დადებით დასკვნას ელოდება. მისიის დასკვნის განხილვა ბრიუსელში, ნატო-ს შტაბბინაში, 13 აპრილს იგეგმება. გიორგი ბარამიძესთან ერთად განხილვაში მონაწილეობას საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები მიიღებენ.

აშშ საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერს მხარს

ამერიკის მთავრობა საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას უჭერს მხარს.

ამის შესახებ საქართველოში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

"კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გეგმას არა აქვს ალტერნატივა. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება კატასტროფული იქნებოდა," - განაცხადა დენიელ ფრიდმა.

მისი თქმით, დღევანდელ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე ენერგეტიკულ საკითხებს. როგორც მან აღნიშნა, ისაუბრეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ერზრუმის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მნიშვნელობაზე.

ასევე, როგორც დენიელ ფრიდმა აღნიშნა, ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

"გარდა ამისა, ჩვენ მივესალმებით საქართველოს მისწრაფებას რეფორმების ეფექტურად გატარებისაკენ. ეს უფრო აქტიური გახდა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ," - განაცხადა ფრიდმა.

მისი თქმით, საქართველო ის ქვეყანაა, რომლის მნიშვნელობა რეგიონის ფარგლებსაც სცილდება.

დენიელ ფრიდი საქართველოში 14 მარტს ჩამოვიდა და ოფიციალური შეხვედრები გუშინ დილიდან დაიწყო. თავდაპირველად იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილს შეხვდა. ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის დენიელ ფრიდის ვიზიტი, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში 13 მარტს დაიწყო და 17 მარტამდე გაგრძელდება, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოსა და თურქეთში სტუმრობას ითვალისწინებს. ფრიდმა უკვე გამართა მოლაპარაკებები ბაქოში, სადაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხი განიხილა. საქართველოდან ამერიკელი დიპლომატი სომხეთში გაემგზავრება. **ინტერპრესნიუსი**

მოკლედ

თურქეთის პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვდა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი გუშინ ავლაბრის რეზიდენციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და თურქეთის პრეზიდენტს კომენტარები არ გაუკეთებიათ. საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი საქართველოდან გუშინ გაემგზავრა. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს პრეზიდენტმა თბილისი-ცხინვალი-სოხუმის ავტობანის მშენებლობა გახსნილად გამოაცხადა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნატახტარი-აღაიანის ავტობანის მშენებლობის დაწყების ცერემონიას დაესწრო. "დღეს არის ისტორიული დღე იმის გამო, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად შენდება თანამედროვე სტანდარტების, უმაღლესი ხარისხის ავტობანი, რომელიც თავდაპირველად თბილისსა და ცხინვალს დააკავშირებს," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. სააკაშვილის თქმით, მისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში დასრულდება თბილისი-ცხინვალის ავტობანის მშენებლობა, ხოლო მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში ეს გზა უკვე სოხუმში ჩავა. "მაგრამ სოხუმში ჩასვლას მე უფრო ადრე ვაპირებ," - აღნიშნა პრეზიდენტმა. "ეს არის შედეგი იმისა, რომ ჩვენ ბიუჯეტში გვაქვს ფული, ვინაიდან უკვე შემცირდა კორუფცია, ვინაიდან მოწესრიგდა სტრუქტურები, ბიუჯეტში ფული შედის," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ახალი ბეტონის ავტობანი მსოფლიო სტანდარტების იქნება, არ გაუჩნდება ორმოები და არ დაიზნიქება. აღნიშნულ ავტობანზე იმუშავებენ ქართველი ინჟინრები და გამოყენებული იქნება უცხოური ტექნოლოგია.

"ნელ-ნელა ევროპულ ქვეყანას ვემსგავსებით, მაგრამ ამას დრო უნდა. რომ მქონდეს ჯადოსნური ჯოხი, ამას ყველაფერს ერთი ხელის მოსმით გავაკეთებდი," - განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილმა თბილისი-ცხინვალი-სოხუმის ავტობანის მშენებლობა გუშინ გახსნილად გამოაცხადა. როგორც აღინიშნა, უკვე 2008 წელს იქ მზად იქნება თბილისი-ცხინვალის ავტობანი, ხოლო 2010 წელს კი - გზა სოხუმამდე ჩავა. **ინტერპრესნიუსი**

ხელვაჩაურში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდება

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას სთხოვს. საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი ბრძანებულებით, ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ვადამდე აღრე უნდა გაუქმდეს. ასევე, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 თებერვალს გამოცემული ბრძანებულება, რომლის მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონში საგანგებო ვითარება იქნა შემოღებული. აღნიშნული ბრძანებულება პარლამენტს დასამტკიცებლად დღესვე წარედგინება. საქართველოს პრეზიდენტმა ხელვაჩაურის რაიონში საგანგებო მდგომარეობა 26 თებერვალს გამოაცხადა. საგანგებო მდგომარეობა ხელვაჩაურის რაიონში "ფრინველის გრიპის" შემთხვევის დადასტურებისთანავე ამოქმედდა. **ინტერპრესნიუსი**

გოგა ხაინდრავას სამუშაო ოთახი დაიწვა

სახელმწიფო მინისტრის ოფისში გუშინ გამთენიისას გაჩენილი ხანძრის შედეგად სრულად განადგურდა გოგა ხაინდრავას სამუშაო და დასასვენებელი ოთახი, ასევე შენობის მე-4 სართულზე მდებარე ქართულ-აფხაზური მუდმივმოქმედი საკოორდინაციო კომისიის სამუშაო ოთახები. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის მიზეზი ელექტროგაყვანილობაში მომხდარი მოკლე ჩართვა გახდა. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში რიგგარეშე გაწვევა დასრულდა

მთლიანობაში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში ათასი ახალგაზრდა გაიწვიეს. წვევამდელები საქართველოს ოთხი რეგიონიდან - სამეგრელოდან, სამცხე-ჯავახეთიდან, იმერეთიდან და შიდა ქართლიდან არიან. მათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-3 ბრიგადის ნაწილებში გადაანაწილებენ. ბრიგადის ძირითადი ქვედანაყოფები გორის რაიონშია დისლოცირებული. სურვილის შემთხვევაში, რამდენიმე თვეში ახალწვეულებს, საბრძოლო მომზადების დონის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურს შესთავაზებენ და კონტრაქტებს გაუფორმებენ. როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, ჯარში წასვლის 500 მსურველს მიღებაზე უარი ეთქვა, რადგან ისინი მოთხოვნილ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდნენ. რიგგარეშე გაწვევა მიმდინარე წლის 30 იანვარს გამოცხადდა. **ინტერპრესნიუსი**

რუსეთის დუმა ჰააგის ტრიბუნალის გაუქმების მომხრეა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის შემდგომ მუშაობას არამიზანშეწონილად მიიჩნევს და მის წარმოებაში არსებული ყველა საქმის უმოკლეს ვადაში დასრულებას მოითხოვს. დეპუტატებს ამ დასკვნისკენ იუგოსლავიის ექსპრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის გარდაცვალებამ უბიძგა. სახელმწიფო სათათბიროს მიაჩნია, რომ მილოშევიჩი ციხეში იმის გამო გარდაიცვალა, რომ მას დროულად არ გაეწია სამედიცინო დახმარება. აქედან კეთდება დასკვნა ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მილოშევიჩის სიკვდილი ერთეული შემთხვევა არ არის - არცთუ დიდი ხნის წინ "ეს სამწუხარო სია ხორვატიელ სერბთა ლიდერმა მილან ბაჩიჩმა შეავსო," - ნათქვამია სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ განცხადებაში. პარლამენტართა აზრით, ჰააგის ტრიბუნალის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უაღრესად პოლიტიზებული და მიკერძოებულია. "ორმაგი სტანდარტები მისი მუშაობის ნორმად იქცა," - მიაჩნიათ დეპუტატებს.

სათათბიროს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ საჭიროა ჩატარდეს მილოშევიჩის გარდაცვალების მიზეზების საერთაშორისო გამოძიება, ის ადამიანები კი, რომლებმაც მისი სიკვდილი დაუშვეს, სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ.

მინსკში უცხოელ ჟურნალისტებსა და დამკვირვებლებს დევნიან

ბელარუსმა მესაზღვრეებმა უკრაინის ტელევიზიის "მეხუთე არხის" გადამღები ჯგუფი მინსკში არ შეუშვეს.

"მეხუთე არხის" ინფორმაციით, ჟურნალისტი და ოპერატორი უკრაინა-ბელარუსის საზღვარზე მატარებლიდან ჩამოსვეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველა აუცილებელი საბუთი ჰქონდათ. მანამდე კი, მინსკის სასამართლომ 10 დღით პატიმრობა მიუსაჯა უკრაინის ხუთ მოქალაქეს, რომლებიც ბელარუსის დედაქალაქში ოპოზიციის არასანქცირებულ მიტინგში მონაწილეობისთვის დააკავეს.

გუშინვე ბელარუსის ხელისუფლებამ რვა დამოუკიდებელ უცხოელ დამკვირვებელს ქვეყნის დატოვება უბრძანა. ექვსი დანიელი და ორი შვედი დამკვირვებელი ორგანიზაცია "სილბას" მიერ გაგზავნილ დამკვირვებელთა ჯგუფში შედიოდნენ და ბელარუსში არაოფიციალურად იმყოფებოდნენ.

შვედები ქვეყნის დასავლეთში მდებარე ქალაქ გროდნოში მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც ისინი საარჩევნო უბანს ეწვივნენ. ჯგუფის დანარჩენი წევრები მინსკში აიყვანეს. ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნები 19 მარტს გაიმართება. სამშაბათს ქვეყანაში წინასწარი კენჭისყრა დაიწყო. ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს არჩევნების შედეგებით მანიპულირების საშუალებას აძლევს. ოპოზიციის ძირითადმა კანდიდატმა ალექსანდრე მილინკევიჩმა ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდა, არ მიიღონ მონაწილეობა წინასწარ კენჭისყრაში, რადგან მათი ხმები მათი ნების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. **ინტერპრესნიუსი**

კოკოითი ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტს შეხვდა

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ჩრდილო ოსეთის მეთაურს თეიმურაზ მამსუროვს შეხვდა. მათ ჩრდილო ოსეთისა და არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი სხდომის მოსამზადებელი საკითხები განიხილეს. ამ სხდომის გამართვა 22 მარტისთვის არის დაგეგმილი.

კოკოითმა და მამსუროვმა ისაუბრეს, აგრეთვე, ჩრდილო და "სამხრეთ" ოსეთის ინტეგრაციული პროცესის გააქტიურების შესახებ. როგორც ცნობილია, ორივე მათგანი ე.წ. დიდი ალანიის შექმნის იდეის ინიციატორია. **მედიანიუსი**

სომხეთის პარლამენტის წევრი სამცხე-ჯავახეთისთვის კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭებას ემხრობა

სომხეთის პარლამენტის დეპუტატი, ოპოზიციური ბლოკის "სამართლიანობის" წევრი, პარტია "ნაციონალური აღორძინების" თავმჯდომარე ალბერტ ბაზეიანი დასაშვებად მიიჩნევს სამცხე-ჯავახეთისთვის კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭებას.

დეპუტატის თქმით, სომხეთი საქართველოში მცხოვრებ სომხებს პრობლემების გადაჭრაში უნდა დაეხმაროს, გადადგას ნაბიჯები სამცხე-ჯავახეთში შექმნილი კონფლიქტური ვითარების მოსაგვარებლად, მათ შორის, დიპლომატიური არხების გამოყენებით. ამასთან, ბაზეიანმა განაცხადა, რომ სომხეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვა არ ღირს. "ისედაც მძიმე მდგომარეობაში ვართ და კიდევ ერთი არაკეთილმოსურნე მეზობელი არ გვჭირდება," - აცხადებს სომეხი დეპუტატი.

სომხეთის რესპუბლიკური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი გალუსტ სააკიანი კი ფიქრობს, რომ ჯავახეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს პოლიტიკური ელფერი არ დაჰკრავს. "შეჯახებები ჯავახეთში ყოფით ნიადაგზე ხდება," - აცხადებს გალუსტ სააკიანი. **მედიანიუსი**

მოკლედ

ლარის კურსი 1,8275 ნიშნულზე შენარჩუნდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 16 მარტიდან აშშ დოლართან მიმართებაში 1,8275 ნიშნულზე დააფიქსირა.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 15 მარტს მონაწილეობა მიიღო ერთმა კომერციულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ერთი საბირჟო გარიგება, რომლის მოცულობამ 20 000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიძინა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი - 1.8275 ლარი. უცხოურ ვალუტაზე ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნა-მიწოდებამ 20 000 აშშ დოლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

კომპანია "თოლია" ოთხშაბათს ჩამოსასხმელი ნაყინის ქსელს გახსნის

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "თოლია" ოთხშაბათს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ჩამოსასხმელი ნაყინის ქსელს გახსნის.

კომპანიას ადგილობრივ ბაზარზე ჩამოსასხმელი ნაყინის ხუთი ობიექტი გააჩნია და წელიწადში 1200 ტონა ნაყინს აწარმოებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში გამრიცხველიანების პროცესი იწყება

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინიციატივითა და ს/ს თელასის" მხარდაჭერით, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში გამრიცხველიანების პროცესი იწყება.

ამ მიზნით, ხვალ, დაბა წყნეთში, გამგეობის შენობაში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი და ს/ს თელასის" გენერალური დირექტორი იური პიმონოვი ხელს მოაწერენ ერთობლივ მემორანდუმს, რომლის თანახმად გამრიცხველიანება დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

კუმისის ტბის მიდამოებში საძიებო სამუშაოები დაიწყება

საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, ჯერჯერობით დაზუსტებული ინფორმაცია ამ ტერიტორიაზე გაზის მარაგის არსებობის შესახებ არ არსებობს.

კუმისის ტბასთან კვლევების ჩასატარებლად საქართველოს ხელისუფლებამ ხელშეკრულება კომპანია "კანარგოსთან" გააფორმა. გაზის საბადოს არსებობის დადასტურების შემთხვევაში, ხელისუფლება ამ კომპანიასთან ხელშეკრულებას გაზის შესყიდვის შესახებ გააფორმებს.

ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე ენერგომატარებლების საბადოების მოსაძიებლად სერიოზული კვლევების ჩატარებას აპირებს. **ინტერპრესნიუსი**

საქართველო და თურქეთი ბათუმის აეროპორტით ერთობლივად ისარგებლებენ

მომავალი წლის აპრილიდან, საქართველო და თურქეთი ბათუმის აეროპორტით ერთობლივად ისარგებლებენ. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება, ბათუმის აეროპორტის ერთობლივ გამოყენებაზე თურქეთის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს იქნა მიღებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, მომავალი წლის აპრილიდან დასრულდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები და დაიწყება ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენება.

"ეს მნიშვნელოვანია აჭარის ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით," - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, ბოლო პერიოდში, ინტენსიურად ვითარდება ურთიერთობები თურქეთ-საქართველოს შორის. "თურქეთის მხრიდან საქართველოში ობიექტებზე დაინტერესება საკმაოდ დიდია," - აღნიშნა ნოღაიდელმა. **ინტერპრესნიუსი**

"სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დავალიანების მქონე აბონენტების გამორთვას იწყებს

ამის შესახებ ენერგოკომპანიის ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

იანვრის თვეში ენერგობლოკადის და დიდთოვლობის გამო ენერგოკომპანია მაქსიმალურად ცდილობდა მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებას და მსგავსი ტიპის გათიშვებს არ მიმართავდა.

რაიონების მიხედვით ენერგოკომპანიის აბონენტებს სოლიდური დავალიანება დაუგროვდათ: ქუთაისი - 4 000 000 ლარი; ზუგდიდი - 2 600 000 ლარი; ნალენჯიხა - 1 800 000 ლარი; ოზურგეთი - 1 500 000 ლარი; სამტრედია - 600 000 ლარი; წყალტუბო - 920 000 ლარი; მცხეთა - 800 000 ლარი; დუშეთი - 300 000 ლარი; ბოლნისი - 600 000 ლარი; კაზრეთი - 500 000 ლარი;

ენერგოკომპანია მოსახლეობას მოუწოდებს, დროულად დაფარონ ელექტროენერგიის დავალიანება და ამით თავიდან აიცილონ ელექტროენერგიის შეწყვეტა. **ინტერპრესნიუსი**

იაპონური გრანტი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესაძენად

16 მარტს წეროვანში იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოში "სურსათის გაზრდის დახმარების პროგრამის" ფარგლებში ტექნიკური დახმარების გადაცემის ცერემონიალი გაიმართება.

ღონისძიებას მისასალმებელი სიტყვით გახსნიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტადაჰირო აბე, რის შემდეგაც იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტის ფარგლებში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პრეზენტაცია გაიმართება. **მედიანიუსი**

ბათუმის პორტს 49 წლით გაასხვისებენ

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

ეკონომიკის სამინისტრო სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტის, ბათუმის პორტის 49 წლით იჯარით გაცემას გეგმავს. ინვესტორი, რომელიც, ალბათ, უცხოელი იქნება, საიჯარო თანხას წინასწარ გადაიხდის. საწყისი საკონკურსო თანხა 35 მილიონ დოლარს შეადგენს. გასულ წელს (როცა წინა წლებთან შედარებით ნაკლები ტვირთბრუნვა დაფიქსირდა) პორტის მოგებამ 9 მილიონი ლარი შეადგინა. ამ ობიექტით სერიოზულად არიან დაინტერესებული ამერიკული, ბრიტანული, გერმანული, დანიური, თურქული, რუსული, ყაზახური, სომხური და აზერბაიჯანული კომპანიები.

ბათუმის პორტით, როგორც სტრატეგიული ობიექტით, დაინტერესებას ყველა ის სახელმწიფო იჩენს, რომლისთვისაც კავკასიას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ბოლო დროს პორტის იჯარით ყაზახური მხარე დაინტერესდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ მიერ საკურორტო ზოლში ინვესტიციების ჩადება ერთი დიდი პროექტის ნაწილია. ყაზახური პროექტი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ყიდვას და პორტის იჯარით აღებასაც ითვალისწინებს (ნაზარბაევმა ბათუმში ორივე ობიექტი გულდასმით დაათვალიერა). ერთი ვერსიით, პორტის და ქარხნის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და კონკურსი ფიქტიური იქნება.

ყაზახებს ძირითადად ნავთობის ექსპორტი აინტერესებთ. კონკურსის მათ სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, ბათუმიდან კასპიის ნავთობის გატანის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუმცა ამ ეტაპზე საუბარია მხოლოდ მშრალ ტვირთებზე. მთავარი პირობა, რომელიც ქართულმა მხარემ მომავალ მოიჯარეს წაუყენა - წელიწადში მინიმუმ 6 მილიონი ტონა ტვირთის მოზიდვაა (გასულ წელს 12 მილიონი ტონა იყო).

რაც შეეხება ნავთობგადასატვირთ ნავმისადგომებს, იგი ბათუმის ნავთობტერმინალს 2008 წლამდე, თვეში 20 ათას დოლარად აქვს იჯარით აღებული. როგორც ბათუმის პორტში აცხადებენ, ეს ხელშეკრულება ვადის ამოწურვამდე, პორტის ახალი მოიჯარის მფლობელობაშიც გაგრძელდება. შეექმნება თუ არა პრობლემა ნავთობტერმინალის მფლობელ დანიურ კომპანია "გრინოუქ გრუპს", ჯერ უცნობია, მაგრამ ასეთ შეღავათიან ხელშეკრულებას ალბათ ვეღარ გააგრძელებს.

ბათუმის პორტის ანგარიშზე, ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამჟამად 15 მილიონამდე ლარია. გასულ წელს სახელმწიფომ ობიექტიდან დივიდენდის სახით, დაახლოებით, 5 მილიონი ლარი მიიღო. რატომ ამბობს სახელმწიფო უარს მომგებიან საწარმოზე?

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას განცხადებით, "ეს არის ინვესტორების მოზიდვისათვის გამიზნული ზოგადი პოლიტიკა. ბათუმის პორტის გაყიდვა ნამდვილად არ გვინდოდა, ამიტომ 49 წლის ვადით მართვის უფლების გაცემა გადაწყდა. მაგრამ, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ინვესტორების მოზიდვის მიზნით არ მიგვიღია. გვინდა, რომ ბათუმში ევროპული და ამერიკული სტანდარტების პორტი გაკეთდეს. რაც შეეხება 35 მილიონს, თანხა დადგენილია ბოლო წლების მოგების მაჩვენებლებიდან გამომდინარე. ბიზნესმენს თუ 10 წელი მოუხდა ცდა კაპიტალდაბანდების ამოსაღებად, საწარმოს არ იყიდის. ვფიქრობ, კარგი კონკურენცია იქნება და ფასიც საკმაოდ გაიზრდება".

რამდენად გააკონტროლებს სახელმწიფო ნავმისადგომების მდგომარეობას და რამდენად იტოვებს ხელში უსაფრთხოების (ნარკოტიკები, კონტრაბანდა) ნორმების დაცვის ბერკეტებს? - როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, უსაფრთხოების ზომები და გარანტიები კანონით არის დაცული და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მართავს პორტს - "ამ საკითხებს ადგილობრივი კანონები და საერთაშორისო კონვენციები არეგულირებს. ნავსადგური მუდმივად სახელმწიფო მონიტორინგის ქვეშ იქნება".

პორტის მოიჯარე სახელმწიფოს იმ გადასახადებს გადაუხდის, რითაც ნებისმიერი კერძო საწარმო იბეგრება. 11 მილიონი ტონა ტვირთის გადამუშავების დროს პორტი სახელმწიფო ბიუჯეტს, დაახლოებით, 4 მილიონამდე ლარს უხდიდა. საკონკურსო პირობებში დადგენილი მინიმუმის, 6 მილიონ ტონამდე ტვირთბრუნვის შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად, მხოლოდ 2 მილიონ ლარამდე შევა. დამენიას განმარტებით: "ბოლო 2 წლის მონაცემებით, ბათუმის პორტის წლიური ტვირთბრუნვა 10 მილიონი ტონაა, მაგრამ ამ ციფრზე ორიენტირება ძნელია. დღეს საუბარია 49 წლიან იჯარაზე. 6 მილიონი ტონა არის ის ქვედა ზღვარი, რომლის პირობებშიც პორტი მუშაობს. ბუნებრივია, ინვესტორი ეცდება, რაც შეიძლება მეტი ტვირთი მოიზიდოს."

სამინისტროში მიაჩნიათ, რომ პორტი ტვირთბრუნვის მაჩვენებელს ხელოვნურად ვერ შეამცირებს. "ტვირთების დამალვა შეუძლებელია, ტვირთი, ელემენტარულად, რკინიგზაზე უნდა გადაიტვირთოს... გარდა ამისა, გამკაცრებულია საგადასახადო კონტროლიც," - აცხადებს დამენია, რომელიც ტვირთბრუნვის და აქედან გამომდინარე შემოსავლების გაზრდაში დარწმუნებულია.

ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის გენერალური დირექტორის, ფრიდონ სურმანიძის განცხადებით, შეიძლება პორტის გასხვისება ყულევის პორტის მშენებლობასაც უკავშირდებოდეს. "ეს არის მომგებიანი საწარმო, 35 მილიონი აშშ დოლარი არარეალური ფასია. თუმცა მჯერა, კონკურსი საწყის ფასზე არ შეჩერდება. რატომ გახდა იჯარით გაცემა აუცილებელი? - ალბათ ქვეყნის საკეთილდღეოდ. რაც შეეხება ძირითად პირობას - 6 მილიონ ტონას - აქ შეიძლება გათვლა გაკეთებულია იმაზე, რომ ახალი პორტი კეთდება ყულევში და ტვირთების ნაწილი იქედან გადამუშავდება".

გარდა იმისა, რომ ინვესტორი ორიენტირებული იქნება ტვირთების მოძიებასა და მოზიდვაზე, იგი პორტის რეკონსტრუქციასაც აუცილებლად გააკეთებს. "ყველა ნავმისადგომს აქვს რაღაც დეფექტი. ჩვენთან ყველაზე ახალი ამწე 21 წლისაა. საერთოდ არ გაგვაჩნია ამწე იმისათვის, რომ კონტეინერი ხმელეთზე გადმოვიღოთ... პორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას შეიძლება 50 მილიონიც დასჭირდეს," - აცხადებს სურმანიძე.

ამ ეტაპზე, გამოცხადებული კონკურსის პირობებში არაფერია ნათქვამი პორტში დასაქმებულ მუშახელზე. პორტის ადმინისტრაციაში მიაჩნიათ, რომ ასეთი პირობები, სავარაუდოდ, უშუალოდ მოიჯარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში იქნება ჩადებული. ეკონომიკის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ დამატებითი პირობები, გარდა იმისა, რაც გამოქვეყნდა, ხელშეკრულებაში არ ჩაიდება.

ინვესტიციებისა და განვითარების დარგში ნავსადგურის დირექტორის ზაზა გუმბერიძის თქმით: "ინვესტორს აუცილებლად მოუწევს პორტის ტექნიკის განახლება. ეს ჩვენც გვქონდა გათვალისწინებული მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმაში; განახლებული ტექნიკა, 49 წლის განმავლობაში კიდევ ერთხელ გამოიცვლება. საბოლოო ხელშეკრულებაში, ალბათ, ბევრ ისეთ რამეს გაითვალისწინებენ, რაც ჯერ არ ვიცით... თანამშრომლები, დასაქმება - ეს მთლიანად ადგილობრივი კადრები იქნება - დოკერს სხვა ქვეყნიდან ვერ ჩამოიყვანენ. სახელმწიფო, რა თქმა უნდა, არ აგებს - ინვესტორი განავითარებს ინფრასტრუქტურას, გააფართოებს პორტს (8,4 ჰექტარზე მეტი ტერიტორია დამატებით გადმოგვცა სახელმწიფომ). ბუნებრივია, სოლიდური მოგება დარჩება ინვესტორსაც".

საინტერესოა ეკონომიკური საკითხების ექსპერტის, ნიკო ორველაშვილის შეფასებაც: "პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ ინფორმაცია ასეთ ღონისძიებებზე ძალიან მწირია. ეს ინფორმაცია არასაკმარისია როგორც ჩემთვის, ისე პოტენციური ინვესტორებისთვის. შესაბამისად, ძალიან გამიჭირდება იმის პროგნოზირება, თუ რა ფასად და რა პირობებით გაიცემა ბათუმის პორტი. ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებები ხომ ეშმაკს დააბნევს! განა შეიძლება რაიმეს პროგნოზირება იმ პირობებში, როდესაც კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი, რომელიც გარდა 42 ჰექტარი ფართობისა კიდევ 15 კაპიტალურ შენობასაც მოიცავს (ყოველი მათგანი მილიონ დოლარზე ნაკლები არ ღირს!), გაიყიდა სულ რაღაც 15 მილიონ დოლარად და ისიც განვადებით. მოკლედ, თუ ბათუმის პორტი ხელსაყრელი პირობებით გადაეცემა მოიჯარეს, ძალიან კარგია, მაგრამ ხელისუფლებამ იმდენჯერ გაგვიცრუა იმედები, რომ ოპტიმიზმისტური პროგნოზის გაკეთება ძნელია".

USAID ამერიკელი ხალხისგან

სტაჟირება აშშ-ში ქართველი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და პროფესიონალებისთვის

COMMUNITY CONNECTIONS

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ამერიკული ორგანიზაცია "პროექტი ჰარმონია" მოხარულები არიან გამოაცხადონ 2006 წლის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დაწყება საქართველოში. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის, ეკონომიკური ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას საქართველოსა და ევრაზიის ქყვეყნებში. ეს არის პრაქტიკული სტაჟირების პროგრამა აშშ-ში, რომელიც მოიცავს სემინარებს, შეხვედრებს, ადგილზე ვიზიტებს და ამერიკელ პროფესიონალებთან პირისპირ შეხვედრებს, პრაქტიკული სტაჟირებების ჩათვლით. პროგრამის მონაწილეები ძირითადად გადიან სამიდან ხუთ კვირამდე სტაჟირებას აშშ-ში და ცხოვრობენ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. ყველა ხარჯს, როგორიცაა: მგზავრობის ღირებულება აშშ-ში, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებული და კვება აშშ-ში ფარავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გარდა პროგრამის მონაწილეთა პასპორტის ღირებულებისა და საქართველოს ფარგლებში მგზავრობისა.

საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა:

- უზრუნველყოფს მონაწილეებს პროფესიული ტრეინინგებით და აცნობს მათ ამერიკის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურ საქმიანობას
- ხელს უწყობს საქართველოში საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას
- ამყარებს კავშირებს აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის

საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა წარმოდგენილია ორი სახის პროგრამით - ბიზნეს და პროფესიული ტრეინინგ/სტაჟირების პროგრამით.

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა

ბიზნეს პროგრამა უზრუნველყოფს ქართველ მეწარმეებს და მცირე ან საშუალო ბიზნესში მომუშავე მაღალი რანგის მენეჯერებს ინდივიდუალური სტაჟირებით აშშ-ში და მათ ამერიკელ კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს. ბიზნეს პროგრამა მოიცავს:

- ხუთ კვირიან ინდივიდუალურ სტაჟირებას აშშ-ში
- ჯგუფურ სემინარებს აშშ-ში
- საწარმოებში ადგილზე მისვლას და კონსულტაციებს აშშ-ში
- ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას

2006 წელს, საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამის ფარგლებში შეირჩევა სამი ბიზნეს ჯგუფი, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2006 წლის ივნისი-ივლისში გაივლიან :

- ბიზნესი - თბილისი (10 მონაწილე)
- ბიზნესი - ქვეყნის მაშტაბით (9 მონაწილე)
- ბიზნესი - ქვეყნის მაშტაბით (9 მონაწილე)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 2006 წლის 30 მარტამდე.

საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამა

პროფესიული პროგრამა გამიზნულია ერთი რომელიმე სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებსაც საერთო ინტერესი აკავშირებთ.

პროფესიული პროგრამა მოიცავს:

- სამიდან ხუთ კვირიან ჯგუფურ სტაჟირებას აშშ-ში
- ადგილზე ვიზიტებსა და შეხვედრებს აშშ-ში
- სემინარებსა და მრგვალ მაგიდებს აშშ-ში
- კონსულტაციებსა და ჯგუფურ ტრეინინგებს აშშ-ში
- ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას

2006 წელს, საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამის ფარგლებში შეირჩევა შემდეგი პროფესიული ჯგუფები, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2006 წლის სხვადასხვა პერიოდში გაივლიან:

- **ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება - ქვეყნის მასტაბით (8 მონაწილე)**

(პროგრამა განკუთვნილია იმ ორგანიზაციების და კომპანიების ხელმძღვანელებისთვის და სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებაზე, ინტერნეტ ტექნოლოგიების პროფესიული ასოციაციების ხელმძღვანელებისთვის, უნივერსიტეტების ფაკულტეტების დეკანებისთვის, სადაც ეს დარგი ისწავლება და სხვა. პროგრამა არ ითვალისწინებს კერძო კომპანიების IT სპეციალისტების სტაჟირებას).

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 2006 წლის 30 მარტამდე.

- **არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (8 მონაწილე)**

(პროგრამა ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების შერჩევას, რომლებიც მუშაობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ეროვნული უმცირესობები, გენდერი, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, გარემოს დაცვა, და სხვა)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ოფისში სამცხე-ჯავახეთში (ორგანიზაცია ჯერ დაზუსტებული არ არის) 2006 წლის 14 ივლისამდე.

- **ტურიზმის განვითარება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (10 მონაწილე)**

(პროგრამა განკუთვნილია, ტურისტული სააგენტოების, სასტუმროების, რეკრეაციული პარკებისა და ტურისტული ბიუროების მენეჯერებისათვის და ტურიზმის დეპარტამენტის მაღალი რანგის ხელმძღვანელებისათვის აჭარიდან)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ოფისში აჭარაში (ორგანიზაცია ჯერ დაზუსტებული არ არის) 2006 წლის 14 ივლისამდე.

მითითებული პერიოდის გასვლის შემდეგ შემოტანილი აპლიკაციები არ განიხილება. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის თანამშრომლები დაუკავშირდებიან პროგრამაში მონაწილეობისათვის შერჩეულ კანდიდატებს წერილობით ან ტელეფონით.

იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს და პროფესიულ პროგრამაში თქვენ უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული `მწვანე ბარათის" გათამაშებაში
- თავისუფლად ფლობდეთ ინგლისურ ენას (მხოლოდ ბიზნეს პროგრამისათვის)
- გეკავოთ საპასუხისმგებლო თანამდებობა
- შეავსოთ აპლიკაცია და ჩააბაროთ იგი გარკვეულ დღემდე
- მონაწილეობა მიიღოთ გასაუბრებაში

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისს თბილისში:

ვ. ანჯაფარიძის ქ. #7, II სადარბაზო, II სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 223847, 250071
ელ.ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge

www.ccgeorgia.ge

რატომ უნდა ვუთხრათ "გაზპრომს" უარი?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გაზი რუსეთის ნომერი პირველი საექსპორტო საქონელია. ბოლო წლებში იგივე ტენდენციაა ირანულ ექსპორტშიც. ორივე ქვეყანა მსოფლიოში გაზის დაზვერილი მარაგის 40 პროცენტს ფლობს და დასავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ენერგოსექტორის ქართველი ექსპერტები საქართველოს ხელისუფლების რეგიონულ პოლიტიკაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას გამოჰყოფენ: პირველი - საქართველომ ევროპაში ირანული გაზის ტრანზიტისათვის მისი ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ განაცხადა, და მეორე - "გაზპრომი" უკვე ღიად აცხადებს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების სურვილს.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ირანული გაზის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტის შესაძლებლობაზე პირველად ირანში ვიზიტის დროს, 2004 წლის ივლისში განაცხადა. **"აშკარაა, რომ საქართველო, 2010 წელს დაგეგმილი ევროკავშირ-ირანის მოლაპარაკების და ახალი რუსულ-ევროპული ბალტიური გაზსადენის ინტენსიური მშენებლობის ფონზე, ხელს არ შეუშლის ირანული გაზის რუსეთის გვერდის ავლით ტრანზიტს. ოღონდ, რა თქმა უნდა, არა საქართველოს ინტერესების საზიანოდ,"** - აღნიშნავს ექსპერტი.

ექსპერტები ირანული გაზის ევროკავშირისაკენ ტრანზიტის ორ პოტენციურ მარშრუტს განიხილავენ:

ა) ირან-სომხეთ-საქართველო-უკრაინის გაზსადენი, ანუ ე.წ. "ჩრდილოეთის" მარშრუტი, რაც ჯერ კიდევ 1992 წლიდან მუშავდება. იგი სპეციალურად რუსეთის ტერიტორიის გვერდის ასაქცევად შეიქმნა. როგორც დაგეგმილია, მან ანაკლიასთან, შემდეგ ნეიტრალურ წყლებში უნდა გაიაროს და, საბოლოოდ, ფეოდოსიასთან უკრაინულ გაზის ქსელს შეუერთდეს. **"ეს მარშრუტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებისკენაცაა მიმართული, ვინაიდან მისით აფხაზების დაინტერესება შეიძლება,"** - მიაჩნია ზურაბ გარაყანიძეს.

ბ) საქართველო-სომხეთის არსებული გაზის ქსელის გაუმჯობესება და მიმართულების შეცვლა, ან ახლის აშენება, რომელიც საბოლოოდ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული გაზის ქსელს შეუერთდება.

ბევრი ქვეყანა, მათ შორის - საფრანგეთი, უკრაინა, პოლონეთი და ჩინეთიც კი, პირველ მარშრუტს უჭერენ მხარს. ამ პროექტის განხორციელება, რუსულ გაზზე დამოკიდებულ ევროპის ქვეყნების გაზომომარაგების დივერსიფიკაციას და კომერციალიზაციას შეუწყობს ხელს, - მიაჩნიათ ექსპერტებს. თუმცა ეს პროექტი შეჩერებულია. მიზეზი - ევროკავშირის ბუნებრივი აირის ბაზარი 2010 წლამდე რუსეთის მიერაა მონოპოლიზებული. ახალი რუსეთ-ევროპის გაზსადენიც, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გაივლის, მთლიანად რუსეთის მიერ გაკონტროლდება. **"ამიტომაა, რომ რუსეთი ხელს უშლის ალტერნატიული გაზსადენის მშენებლობას თავისი ტერიტორიის გარეთ. 2004 წლის დასაწყისიდან სომხეთი, უკრაინა, ირანის დიპლომატიური გააქტიურება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს პროექტი კვლავ დადგა დღის წესრიგში, თუმცა რუსეთი მაინც ბლოკავს მას,"** - დასძენენ ქართველი ექსპერტები. ამიტომაც, სავარაუდოა, რომ "გაზპრომმა" სომხეთ-საქართველოს გაზის ქსელის ირანული გაზის ევროპაში ტრანზიტის საპირისპირო გზად (მეორე მარშრუტი) გამოყენება გადაწყვიტა. ექსპერტების აზრით, "გაზპრომის" მზარდი დაინტერესება მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებით სწორედ ამითაა გამოწვეული. **"სხვაგვარად ვერ აიხსნება "გაზპრომის" ინტერესი მაღალი სიმძლავრის დაუტვირთავი გაზსადენის პრივატიზებაში, რომლითაც საქართველო და სომხეთი რუსული ან თურქმენული გაზით მარაგდება. ამიტომაცაა, რომ "გაზპრომმა" მხარი დაუჭირა ირანიდან სომხეთში გაზსადენის მშენებლობას,"** - აცხადებს გარაყანიძე.

ძირითადი (1200 მმ) და სარეზერვო (700 მმ) მილები სანახევროდაც არაა დატვირთული. მისი საპროექტო სიმძლავრე 18 მილიონი კუბური მეტრია, თუმცა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, მოხმარების შემცირების გამო ის წელიწადში მხოლოდ 9,5 მილიონ კუბურ მეტრს ატარებს.

ამასთან, 2004 წლის 20 ივლისს "გაზპრომის" თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ რიაზანოვმა, სომხეთში ვიზიტისას, გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობისთვის კომპანიის მზადყოფნა გამოხატა. მაშინ მან განაცხადა, რომ მხარეებს "გაზპრომისგან" 140 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის აღება შეეძლოთ. ამის გარდა, მათ "გაზპრომი" სომხეთ-ირანის გაზსადენის 120-კილომეტრიანი სომხური მონაკვეთის ასაშენებლად საკუთარი ფონდების გამოყენებას სთავაზობდა.

საინტერესოა, რომ "გაზპრომმა" მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი ქსელი კავკასიაში. ეს განსაკუთრებით სომხეთში იგრძნობა, სადაც რუსული ენერგოგიგანტი მთელს ენერგოინდუსტრიას და ინფრასტრუქტურას აკონტროლებს. 2003 წელს "გაზპრომმა" საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასთან მაგისტრალური გაზსადენის ქსელის და მისი ტრანზიტის მიზნით გამოყენების შესახებ 25-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. თუმცა ამ ხელშეკრულებაში **"არაფერია ნათქვამი ტრანზიტის მიმართულების და საბოლოო დანიშნულების პუნქტის შესახებ,"** - ამბობს ზურაბ გარაყანიძე.

ქართველი ექსპერტები არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ "გაზპრომს" გაზსადენი თურქეთში გაზის ტრანზიტისთვის სჭირდება. არგუმენტი ასეთია - "გაზპრომს" თურქეთის ბაზრის ნახევარი ისედაც ათვისებული აქვს, კერძოდ, ბულგარეთის გავლით, "პროგრესისა" და შავი ზღვის ფსკერზე გამავალი "ცისფერი ნაკადის" მილსადენების საშუალებით.

ამავე დროს, "გაზპრომი" აქტიურადაა ჩართული ირანის "სამხრეთ ფარსის" გაზის საბადოს ათვისებაში, სადაც ის 30-პროცენტიან წილს ფლობს და ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით 56-დუიმიან გაზსადენს აშენებს. **"ე.ი. ჩვენი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების შემთხვევაში "გაზპრომს" ექნება საკუთარი გაზი და მილი, ჩვენი მაგისტრალური გაზსადენით ევროპაში გაზის გადასამისამართებლად,"** - აღნიშნავენ ექსპერტები "24 საათთან" საუბარში და იქვე ასკვნიან, რომ ენერგოობიექტების პრივატიზებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან **"ჩვენი გაზსადენის პრივატიზებით და გაზის ნაკადის მიმართულების შეცვლით რუსეთი ევროპაში გაზის მონოპოლისტის როლს შეინარჩუნებს. ამისთვის ის ყოველგვარ ეკონომიკურ რისკზეა წამსვლელი."**

ხუდონჰესის მშენებლობამდე ბევრი საკითხი უნდა დაზუსტდეს

ხუდონჰესის მშენებლობის საკითხის ირგვლივ ბოლო პერიოდში ბევრი ინფორმაცია გავრცელდა. ამ საკითხზე ბევრი ექსპერტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი და პოლიტიკოსი გამოთქვამდა თავის მოსაზრებას. ამ საკითხის ირგვლივ ბევრი კითხვა ჩნდება. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ხელისუფლების ვალდებულებაა. ამ საკითხებზე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" ინიციატივით შეხვედრა-განხილვა გაიმართა, რომელშიც ექსპერტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების და ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ხუდონის სიმძლავრე იქნება 700 მეგავატი და გამოიმუშავებს 1,7 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

პროექტი მეზობელ ქვეყნებში ექსპორტზე ორიენტირებული იქნება. სავარაუდოა, უზარმაზარი ხარჯების გამო, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა. ეკონომიკური უკუგება, მსოფლიო ბანკის გათვლით, 5 პროცენტი იქნება.

ასოციაციის თავმჯდომარის მანანა ქოჩლაძის თქმით, ხუდონის ადგილმდებარეობა ზემო სვანეთის ულამაზეს ადგილებს, კავკასიის უნიკალურ რეგიონს მოიცავს. ზემო სვანეთი 1996 წელს იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა გამოცხადებული.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა გათვალისწინებულია მდინარე ენგურზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მაღალმთიან რეგიონში, ზღვის დონიდან 2010 მეტრის სიმაღლეზე. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 90-ნი წლების დასაწყისში საზოგადოებრივი და არასამთავრობო სექტორის ზეწოლის შედეგად იყო ბლოკირებული.

ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელის თქმით, პროექტის განხორციელება, თითქმის გადაწყვეტილია. საქართველოს მთავრობა პროექტს 500 მლნ დოლარად აფასებს, მსოფლიო ბანკის გათვლებით კი ობიექტის დასრულებას 780 მილიონი დოლარი დასჭირდება.

მსოფლიო ბანკი, სავარაუდოდ, მშენებლობას 50 მილიონ დოლარს მოახმარს.

პრაიმ-ნიუს ბიზნესი

Getz

ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

www.hyundai.ge

საბოლოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Drive your way™ არე შენი გზით

ერთი სარკმლის პრინციპით

ირაკლი ჩოგოვაძე სამშენებლო ბიზნესის მაკონტროლებელი ხდება

ᲜᲘᲜᲝ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისის ექსმერის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ უკანონო მშენებლობებისადმი მიძღვნილი ხმაურიანი პიარ-აქციები წარსულს ჩაბარდა. უკანონო მშენებლობებს და არქიტექტურულ "საფრთხობელებს" უკვე აღარავინ შეებრძოლება. ხელისუფლება სამშენებლო საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის გამარტივებას გეგმავს, "ერთი ფანჯრის" პრინციპს ირჩევს და სულ მალე ეს სფერო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გავლენის ქვეშ მოექცევა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სამშენებლო საქმიანობის შესახებ არსებული კანონის ლიბერალიზაციის ინიციატივით გამოდის. ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ, ალბათ, უფრო მეტი თვალსაჩინოების მიზნით, ამ თემაზე ბრიფინგი ყიფშიძის ქუჩაზე მშენებარე ობიექტების ფონზე გამართა.

"მშენებლობის სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და პერსპექტიული სფეროა. ამ სეგმენტში 25 ათასი ადამიანია დასაქმებული," - განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ირაკლი ჩოგოვაძემ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2004 წელს სამშენებლო ნებართვა დაახლოებით ათას ობიექტზე გაიცა, 2005 წელს ეს მაჩვენებელი 1 700-ს გაუტოლდა. ამ სექტორში შექმნილმა პროდუქციის ღირებულებამ 2004 წელს 377 მილიონი ლარი შეადგინა, 2005 წელს კი 600 მილიონ ლარს გადააჭარბა. ექსპერტების შეფასებით, მშენებლობის სექტორი ყველაზე სტაბილურ ბიზნესად ითვლება და მასში კაპიტალს უფრო თამამად აბანდებენ.

მშენებლობის სექტორის მნიშვნელობიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ მომზადებული ლიბერალიზაციის პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამშენებლო ბიზნესის პროცედურების გამარტივებას ანიჭებს. უკვე მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც მშენებლობის მთელ რიგ კატეგორიებზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის ლიცენზიის აღება საჭირო აღარ არის. გაუქმდა მშენებლობის ნებართვა. ნებართვას არ საჭიროებს 100 კუბ. მეტრამდე ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლების, 60 კვ. მეტრამდე ან/და 5 მ-მდე სიმაღლის სასოფლო-სამეურნეო შენობების (მაგალითად, სათბურები), არხების და დრენაჟების, ღია სათამაშო და სპორტული მოედნების მშენებლობის დაწყება; სხვა შემთხვევებში ნებართვა გაიცემა გამარტივებული წესით და საკმარისია მხოლოდ პროექტის შეთანხმება; სამშენებლო ექსპერტიზა სჭირდება მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ობიექტების მშენებლობას; ამოქმედებულია სამშენებლო ნებართვების გაცემის ერთი სარკმლის პრინციპი, რაც ნებართვის მაძიებლისათვის მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან ურთიერთობას ნიშნავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებზე ნებართვას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასცემს, სხვა შემთხვევაში კი - ადგილობრივი არქიტექტურის სამსახურები. უახლოეს ხანში ანალოგიური ბარიერები მოიხსნება ეკონომიკის სექტორის სხვა სფეროებშიც.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, 2006 წელს მშენებლობის სფეროს შემდგომი ლიბერალიზაცია იგეგმება. კერძოდ, მიმდინარეობს მუშაობა სამშენებლო კოდექსზე, რომელიც კიდევ უფრო გაამარტივებს მშენებლობის პროცესში ბიზნესმენსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს. ლიბერალიზაციის შედეგად, გამარტივდება დამთავრებული შენობების ექსპლუატაციაში მიღების წესი. აღარ იქნება საჭირო ყველა ობიექტზე სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც 10-მდე უწყების წარმომადგენელს აერთიანებს. სანაცვლოდ, ექსპლუატაციაში მიღების საკითხს გადაწყვეტს ნებართვის გამცემი ორგანო, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს მხოლოდ ერთ სტრუქტურასთან ექნება შეხება. გამარტივდება სამშენებლო ექსპერტიზის პროცედურები. ექსპერტიზის განხორციელების უფლება აღარ ექნება მხოლოდ ერთ ორგანოს და ამ სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება მოხდება.

თბილისში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება

ღონისძიება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, კომპანია "საქნავთობის" და "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" მხარდაჭერით სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება.

როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს კონფერენციის ორგანიზატორმა ირინა გორშკოვამ აცნობა, კონფერენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე გახსნიან.

ორგანიზატორების განმარტებით, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ს, თურქეთის, ყაზახეთის და აზერბაიჯანის დელეგაციები.

კონფერენციის თემა ენერგეტიკის სექტორი, ამ სფეროში საქართველოს თანამშრომლობა აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ყაზახეთთან და რუსეთთან და ამ ქვეყნებთან ელექტროენერგიის, გაზის და ნავთობის ექსპორტ-იმპორტის შესაძლებლობების განხილვა იქნება. ***პრაიმ-ნიუს ბიზნესი***

მოკლედ

კიდევ ერთი წევრი იუსტიციის საბჭოში

იუსტიციის საბჭოში პარლამენტის კვოტით დასანიშნი წევრების კანდიდატურებს კიდევ ერთი დაემატა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამ თანამდებობაზე ფრაქცია "მაჟორიტარებმა" ნუგზარ შოშიაშვილის კანდიდატურა წარადგინეს. თუმცა, ჯერჯერობით მისი კანდიდატურა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში ოფიციალურად წარდგენილი არ არის.

იუსტიციის საბჭოში პარლამენტის კვოტით ორი დეპუტატი უნდა დაინიშნოს და ამ თანამდებობებზე უკვე დასახელებულები არიან უმრავლესობიდან ნინო კალანდაძე და ირინა ქურდაძე, ოპოზიციის მხრიდან კი კახა კუკავა. საკანონმდებლო ორგანო იუსტიციის საბჭოში საკუთარ წარმომადგენლებს პარასკევის პლენარულ სხდომაზე შეარჩევს, სადაც კენჭისყრა ბიულეტენებით ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

საბაჟო წესების დარღვევისთვის

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ, კერძო ფირმების მიერ საბაჟო წესის დარღვევის გამო, ორი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დაიწყო.

ფინანსური პოლიციის ცნობით, ინდმეწარმე "სულხან რამიშვილმა" 2004 წლის მაისში დიდი ბრიტანეთიდან 28 080 აშშ დოლარის ღირებულების კარაქი შემოიტანა. ფინანსურმა პოლიციამ გადაამოწმა ეს ინფორმაცია და აღმოაჩინა, რომ რამიშვილმა საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემები შეიტანა და საბაჟო წესი დაარღვია. რეალურად, კარაქი 44 400 აშშ დოლარის ღირებულების იყო.

გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის მონაცემებით, საბაჟო წესი ინდმეწარმე "შამია სვიანიძემაც" დაარღვია. მან 2004 წლის იანვარში ესპანეთიდან ზეთის ხილი შემოიტანა. სვიანიძემ საბაჟო დეკლარაციაში მიუთითა, რომ ტვირთი 6 800 კილოგრამს იწონიდა და 2 457 აშშ დოლარის ღირებულების იყო. ფინანსურმა პოლიციამ აღნიშნული ინფორმაცია ესპანეთის საბაჟო სამსახურში გადაამოწმა და გამოარკვია, რომ ზეთის ხილი, რეალურად, 15 984 ევროს ღირებულების იყო და 9 ტონას და 720 კილოგრამს იწონიდა. ფინანსურ პოლიციაში ორივე ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით დაიწყო, რომელიც საბაჟო წესების დარღვევას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

უაქციზო სიგარეტის დიდი პარტია ზუგდიდში

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ზუგდიდის რაიონის ე.წ "ხორცკომბინატის" დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე პატრულირებდნენ, სადაც მათ ტრანსპორტირებისთვის გამზადებული 1 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს. დაწყებულია გამოძიებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის ჩატარება. უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მფლობელის ვინაობა დგინდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ

აფხაზეთის ტერიტორიაზე დაკავებული ქართველი კინოდოკუმენტალისტების ტარიელ სოხაძისა და თეა შარიას მდგომარეობა კვლავ უცნობი რჩება. უკანასკნელი ინფორმაციით, ისინი საზღვრის დარღვევის ბრალდებით აფხაზეთის წინასწარი პატიმრობის საკანში იმყოფებიან და გამოძიების დასრულებამდე სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ. ტარიელ სოხაძის ძმა დავით სოხაძე აცხადებს, ქართულ მხარეს მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოეპოვება და ისინი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან.

"მათ შესახებ არავინ არაფერი იცის, ამიტომ ვცდილობთ, საკუთარი ძალებით მოვიძიოთ ინფორმაცია. თითქოს, ყველამ მიივიწყა ისინი. სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ, ვერ დავრწმუნდები, რომ პატიმრები ცოცხლები და უვნებლები არიან. დაზუსტებით იმასაც ვერავინ მეუბნება, ჰყავთ თუ არა მათ ადვოკატი.

ხელისუფლებაში ისეთი ადამიანიც ვერ ვიპოვე, ვინც გვირჩევს, როგორ მოვიქცეთ," - ამბობს დავით სოხაძე. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეკლესიების მძარცველები კანონის სამსჭავროზე

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა რუის-ურბნისის ეპარქიაში სამი ეკლესიის გაძარცვაში ეჭვმიტანილები დააკავეს.

პირველადი მონაცემებით, ეჭვმიტანილებმა - გიორგი ფილიშვილმა და გიორგი გოგინაშვილმა, სურამში, ოსიაურსა და გორათში სამი ეკლესია გაძარცვეს. ფილიშვილმა უკვე აღიარა დანაშაული და განაცხადა, რომ მათ მიერ მოპარული ხატები და სიწმინდეები უკვე გაყიდულია.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ინტერპრესნიუსი**

"კანონიერი ქურდი" სოდ-ის მახეში

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა (სოდ-ი) ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანში ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინის" შეძენა-შენახვის ფაქტზე კრიმინალური ავტორიტეტი ნიკო მახარაძე დააკავეს. მახარაძე წარსულში ოთხჯერაა ნასამართლევი. ნიკო მახარაძე სხვა კრიმინალებთან ერთად გურიის ტერიტორიაზე ხე-ტყის ბიზნესს აკონტროლებდა. იგი ე.წ. კანონიერ ქურდად რუსეთში 2001 წელს იქნა აღიარებული. შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნიკო მახარაძე ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

მკვლელობაში ეჭვმიტანილი "ქილერი"

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დაადგინეს. შინაგან საქმეთა სამინისიტროს ცნობით, ისანი-სამგორის პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების შედეგად დაადგინეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი 28 წლის ოთარ ბერიძე, მეტსახელად "ქილერი". პოლიციის ინფორმაციით, ბერიძემ ვაზისუბნის დასახლებაში დანით გული დაჭრა 28 წლის გარიგინ გარდიშიანი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. **ინტერპრესნიუსი**

სიმთვრალის ტესტი - ადგილზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია მძღოლებს სიმთვრალეზე სპეციალური აპარატებით ადგილზე შეამოწმებს. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა გუშინ ნარკოტიკული საშუალებებს ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ კანონში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული შესაბამისი ცვლილებები განიხილა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ეკა ტყეშელაშვილის განცხადებით, სამინისტრომ სპეციალური აპარატები შეიძინა, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად გამოიყენება და რომელთა საშუალებითაც ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობის დადგენა ხერხდება. იმ შემთხვევაში, თუ ალკოჰოლი ორგანიზმში დასაშვებ ზღვარს აღემატება, მძღოლი დაჯარიმდება. სადავო შემთხვევის დროს მძღოლს შემოწმებას საექსპერტო ბიუროში ჩაუტარებენ, რომელიც, ცვლილებების მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს ნაცვლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის.

აღნიშნული შესწორების წინააღმდეგია ოპოზიცია. კომიტეტის წევრის დავით საგანელიძის განცხადებით, საექსპერტო ბიუროს შინგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანა ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს და დასკვნის სუბიექტურობის ალბათობას ზრდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 28 თებერვლის გაზეთ "24 საათში" კომპიუტერული ტექნიკის და სახარჯი მასალის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ღია ტენდერის განცხადებაში შეტანილია ცვლილებები, კერძოდ შესასყიდი ობიექტების ნუსხას ემატება შემდეგი საქონელი:

ლოტი N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	მიწოდების ვადები
27	CD-R	100 ცალი	მარტი 2006 წელი
28	CD-RW	10 ცალი	მარტი 2006 წელი
29	დისკეტა	500 ცალი	მარტი 2006 წელი
30	ფოტოაპარატი ციფრული არა ნაკლებ 5 მეგა პიქსელი	1 ცალი	მარტი, 2006 წელი
31	ასლგადამღები აპარატის XEROX COPYCENTERE C118-ის პრინტერის ფუნქციის დამმატებელი ჩიპი	5	აპრილი, 2006 წელი

კუპრეიშვილის და დაზარალებულების ხელახალი დაპირისპირება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გუშინ აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ის განაჩენი გაასაჩივრა, რომლის მიხედვითაც, კუპრეიშვილს, გარდა რვაწლიანი პატიმრობისა, იმ თანხის გადახდაც დააკისრა, რომელიც სახელმწიფომ, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თენგიზ ასანიძეს, როგორც უკანონო პატიმრობაში მყოფს, გადაუხადა. დაცვის მხარის პარალელურად, სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის განაჩენი ბრალდების მხარემაც გაასაჩივრა.

დაცვის მხარე კი აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის უდანაშაულოდ ცნობას ითხოვს.

გუშინ სასამართლომ ორივე მხარის სააპელაციო საჩივარი მოისმინა. სახელმწიფო ბრალდება, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოშიც კუპრეიშვილისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთას, დაცვის მხარე კი აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის უდანაშაულოდ ცნობას და მისთვის გამოტანილი ვერდიქტის გაუქმებას ითხოვს.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე გოგი კუპრეიშვილის ადვოკატმა ეკა ბესელიამ მთავარი ბრალმდებლის, პროკურორ გიორგი შაშიაშვილის აცილების შუამდგომლობა დააყენა, იმ მოტივით, რომ პროკურორი და საქალაქო მოსარჩელე ერთი და იგივე პირია, რასაც სისხლის სამართლის კოდექსი კატეგორიულად კრძალავს. სათათბირო ოთახში ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა დაუკმაყოფილებელი დატოვა და სახელმწიფო ბრალმდებელს სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება მაინც დაუტოვა.

მომდევნო პროცესზე სასამართლო გოგი კუპრეიშვილის საქმეში დაზარალებულად ცნობილებს დაკითხავს. პროცესზე გამოიძახებენ მოწმეებს, რომლებმაც ბათუმის საქალაქო სასამართლოში უკვე მისცეს ჩვენებები.

24 საათი

მკვლელობების ორგანიზება თანამდებობის დაკავების სურვილით

კოდორის ხეობის მკვიდრს, სპარტაკ ქოჩქიანს შინაგან საქმეთა სამინისტრო ორი ადამიანის მკვლელობის მცდელობას ედავება. პოლიციის ცნობით, დაკავებულმა გურჩიანმა უკვე მისცა აღიარებითი ჩვენება. მისი ბრალეულობის დასადასტურებლად სამართალდამცველებს ოპერატიული ფარული ჩანაწერიც მოეპოვებათ, რომელიც შეიცავს ქოჩქიანის სატელეფონო საუბარს, რომლის დროსაც ბრალდებული მკვლელობების შესაძლო ვარიანტებს განიხილავს.

გუშინ სპარტაკ ქოჩქიანის დაკავებასა და მის ბრალდებებთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ქადაგიძემ.

მისი თქმით, ქოჩქიანს ბრალად ედება რამდენიმე ადამიანის, კერძოდ, პარლამენტის წევრ ზურაბ ჯგუბურიას და აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროს ანზორ მარგიანის ლიკვიდაციის ორგანიზება.

სამართალდამცველების ინფორმაციით, მკვლელობის ორგანიზების მოტივი თანამდებობის დაკავების სურვილი გახლდათ. ქადაგიძის თქმით, ქოჩქიანს სურდა კოდორის ხეობაში "ნაციონალური მოძრაობის" რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ან რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტის დაკავება და ამ სურვილის განხორციელებაში სწორედ ჯგუბურია და მარგიანი უშლიდნენ ხელს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, დაკავებულისთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით, უახლოეს ხანში გენერალურ პროკურატურას მიმართავენ.

24 საათი

"პატიმარი" მანქანა პოლიციელთა ხელში

ბათუმელმა ბიზნესმენმა მიშა გაგოშიძემ თავისი ავტომანქანა "ტოიოტა-ლენდკრუიზერი", რომელიც 2005 წლის 5 ნოემბერს საბაჟო წესების დარღვევის მოტივით დაუპატიმრეს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ალანიას დაკავების დროს გადაღებულ და ტელეეთერით გადაცემულ კადრებში ამოიცნო. ბიზნესმენის განცხადებით, თავის დროზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მას "უკანონოდ" შეძენილი მანქანის ჩუქებას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპატიმრებითა და სხვა პრობლემების შექმნით ემუქრებოდნენ.

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

ბიზნესმენ მიშა გაგოშიძის ნაამბობის თანახმად, მისი კუთვნილი ავტომანქანა "ტოიოტა-ლენდკრუიზერი" 2005 წლის 5 ნოემბერს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩამოართვეს. ამ ოპერაციას გამომძიებელი სულიკო ვარშანიძე ხელმძღვანელობდა. მაშინ გაგოშიძეს ბრალად "ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მანქანის განბაჟება-რეგისტრაცია" წაუყენეს, ჩამორთმეული მანქანა კი ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N4-ში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს ოფისის ეზოში დააყენეს, სადაც, წესით, დღემდე უნდა მდგარიყო კიდეც. მიუხედავად ამისა, გაგოშიძემ თავისი მანქანა იმ სატელევიზიო სიუჟეტის ყურებისას ამოიცნო, რომელშიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავებისას სპეცრაზმის გადასაადგილებლად გამოყენებული ავტომანქანები იყო გადაღებული.

გაგოშიძის ადვოკატის ემზარ პაქსაძის განცხადებით, თავის დროზე ავტომანქანის დაკავება უკანონოდ განხორციელდა.

"საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ავტომანქანა არც ერთ ქვეყანაში არ იძებნება. მის შეძენასთან დაკავშირებით არც ქვეყნის შიგნით არსებობს რაიმე კანონსაწინააღმდეგო დოკუმენტი," - ამბობს პაქსაძე.

როგორც თავად გაგოშიძე ამბობს, მის ავტომანქანას სახელმწიფო ნომერი "YVY 886" ამჟამად შეცვლილი აქვს, თუმცა მისი ამოცნობა მაინც არ გასჭირვებია: **"იგი რამდენიმე წელიწადს ჩემს მფლობელობაში იყო. მას საკუთარი ხელით შევუცვალე დეტალები. სიუჟეტისათვის თვალის მოკვრაც საკმარისი გახდა, რომ ავტომანქანა მეცნო."**

ბიზნესმენის განცხადებით, ეს შსს-ს წარმომადგენლების მიერ მათთვის სასურველ მანქანებზე ნადირობის ერთადერთი შემთხვევა არ არის.

"მათ მანქანის დაპატიმრების პირველივე დღეს შემომთავაზეს, რომ ის ნებაყოფილობით დამეთმო მათთვის. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას დამპირდნენ და მითხრეს, რომ, ნაჩუქარ მანქანას პოლიციის რომელიმე ჩინოვნიკი გადაიფორმებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე შემექმნებოდა სერიოზული პრობლემები, მათ შორის რამდენჯერმე დაჭერითაც დამემუქრნენ," - ამბობს გაგოშიძე.

მისივე თქმით, ის ავტომოყვარულია და ინტერნეტით ინტენსიურად ეცნობა როგორც ავტობაზარზე არსებულ მდგომარეობას, ისევე - საქართველოში იმპორტის პრობლემებსაც.

"რამდენიმე წლის წინ საზღვარგარეთ შეძენილი ავტომანქანები არაერთხელ აღმოჩენილა ძებნაში. მე ინტენსიურად ვამოწმებ ყველა ინფორმაციას და დარწმუნებით ვიცი, ჩემი მანქანა ძებნაში არ არის. თუკი ის ძებნაშია და მას რომელიმე ქვეყანაში კანონიერი პატრონი აღმოუჩნდება, მიუხედავად შეძენისას დახარჯული თანხებისა, მზად ვარ, კანონიერ მეპატრონეს მანქანა უსასყიდლოდ დავუბრუნო. რაც შეეხება შსს-ს წარმომადგენლებს, მე მათ მანქანას არ დავუტოვებ. ისინი ძალიან უხეში მეთოდებით ცდილობენ ბიზნესმენებისათვის ქონების "დაწერას", რასაც ვერ დავუშვებ," - აცხადებს ბიზნესმენი.

როგორ აღმოჩნდა ბათუმში დალუქული ავტომანქანა თბილისში და რატომ იყენებდნენ მას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანმშრომლები? –შინაგან საქმეთა სამინისტროში ამის თაობაზე კომენტარს არ აკეთებენ.

აღსანიშნავია, რომ გაგოშიძის მანქანა მეორეა, რომელიც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გამოვლინდა და რომლითაც პოლიციელები უკანონოდ სარგებლობენ.

რუსა თვითმხილველი ომბუდსმენია

ᲘᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მომხდართან დაკავშირებით სახალხო დამცველმა უკვე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და აღნიშნულ ფაქტზე სამსახურებრივი მოკვლევის დაწყება სთხოვა.

სახალხო დამცველთან საუბარში ფოთელები აღნიშნავდნენ, რომ ანალოგიური ღონისძიებები ფოთში ყოველდღიურობაა და ავტომობილების უკანონოდ გაჩერება, ჩხრეკა და მოქალაქეებისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება პოლიციისათვის ჩვეულ იქცა. ამ ინციდენტის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატი ფოთის პოლიციის საქმიანობით დაინტერესდა და კანონის დარღვევისა და უფლებამოსილების გადაჭარბების დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოიპოვა.

კერძოდ, 18 თებერვალს გიორგი მოისწრაფიშვილი სპეცრაზმმა მალთაყვის პოსტთან გააჩერა. მოისწრაფიშვილმა პოლიციელებს მისი გაჩერების მოტივის ახსნა მოსთხოვა, რასაც სპეცრაზმელების მხრიდან მისი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა. გიორგი მოისწრაფიშვილი ასფალტზე დააგდეს, მაგრად სცემეს, შემდეგ კი ფოთის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. დაზარალებული აცხადებს, რომ პოლიციის უფროსმა ირაკლი ჯიქიამ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დაემუქრა.

თებერვლის ბოლოს, იმავე ადგილას ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა ორი მე-10 კლასელი დააკავეს და შეურაცხყოფა მიაყენეს. სახალხო დამცველი, დაშინებული ბავშვებისა და მშობლების უსაფრთხოების მიზნით, მათ გვარებს არ ასახელებს. ანალოგიურ ვითარებაში არაერთი მოქალაქე აღმოჩნდა, თუმცა, საჯაროდ ამის თქმას ვერ ბედავენ.

საქართველოს სახალხო დამცველი აპირებს, მოძიებული ინფორმაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადასცეს და ფოთის პოლიციის თვითნებობისა და კანონდარღვევის ფაქტების დაუყოვნებლივ გამოიძიება მოითხოვოს.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲔᲪᲐᲠᲔ ᲫᲕᲔᲚᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲔᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡᲐ:

1. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲐᲜᲯᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ" (ᲪᲔᲜᲢᲠᲘ);
2. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲚᲘ";
3. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ";
4. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ";
5. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘ II";
6. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲕᲐᲠᲪᲘᲡᲔᲚᲘ";
7. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲒᲣᲠᲯᲐᲜᲘ II". (ᲒᲐᲛᲝᲤᲚᲘ ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲓᲔᲚᲢᲐ");
8. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲕᲐᲖᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ I";
9. ᲛᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲠᲘ "ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲜᲘ";
10. ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 45 "ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ" ᲨᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲝᲤᲘᲡᲘ;
11. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ 77 ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲡᲘ "ᲒᲐᲞᲘᲡ" ᲝᲤᲘᲡᲘ;

"24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ, ᲣᲤᲐᲡᲝ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ: 0119 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ.77. ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲡᲘ "ᲒᲐᲞᲘ".

1

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ძალაქ თბილისში მეტროს ძველთითბავთველილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფმშრის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი ძგაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

ქეთევან სამხარაძე

შეუძლია თუ არა, რომ აქციათა 15% მფლობელ აქციონერს საანგარიშო კრებაში მონაწილეობისათვის გასცეს წერილობითი მინდობილობა ორ პიროვნებაზე 7,5% თითოეულზე?

ქალბატონო ქეთევან,

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის და სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

მუხლი 54. საერთო კრება

54.3. აქციონერს შეუძლია 54.2 მუხლის მიხედვით დადგენილი პროცედურის შესაბამისად წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. იგი მონაწილეობას იღებს კრების მუშაობაში პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

მუხლი 10. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან. სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები

2. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.

არ არის რა აკრძალული თქვენს მიერ მითითებული მოქმედება კანონით, შეგიძლიათ განახორციელოთ აღნიშნული მოქმედება.

მარიამ ქავთარაძე

აქვს თუ არა უფლება ს.ს. სამეთვალყურეო საბჭოს, რომ თვითონ ჩაატაროს ადმინისტრაციისა და ინჟინერ ტექნიკური პერსონალის ატესტაცია და სად შეიძლება გასაჩივრდეს მათი გადაწყვეტილება?

ქალბატონო მარიამ,

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 პუნქტების, 56-ე და მე-15 მუხლების თანახმად:

მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭო

55.8. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ) სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ე) სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებასა და ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

ვ) დირექტორების დანიშვნა და ნებისმიერ დროს გამოწვევა, ასევე მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;

ვ1) იმ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფო ფლობს საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება;

ზ) სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი;

თ) დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

55.9. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა) საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

ბ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

დ) სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

ე) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;

ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ზ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

ი) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;

კ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ) საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს არ შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას;

მ) გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

55.10. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება 9.7 და 56.4 მუხლები.

55.11. ამ მუხლის 55.9 პუნქტის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თანხმობის გაუცემლობის შესახებ ინფორმაცია შეტანილი უნდა იქნეს სააქციო საზოგადოების წლიურ ანგარიშში.

მუხლი 56. დირექტორები

56.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს.

56.2. დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. თუ არ არსებობს ასეთი შინაგანაწესი, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

56.3. სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები.

იმ შემთხვევებში, როცა სახე ზეა რამდენიმე დირექტორი, და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დირექტორები მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ დირექტორებს შეიძლება მიენიჭოთ ზოგი გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. საზოგადოების მიმართ ნების გამოძღვანების გამოსახატავად საკმარისია ნების გამომჟღავნება ერთი დირექტორის მიმართ.

თუ დირექტორი რამდენიმეა, მაშინ წესდება შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს, რომ ერთ რომელიმე მათგანს დამოუკიდებლად ან ერთ-ერთ სავაჭრო წარმომადგენელთან ერთად მიენიჭოს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება; მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ დირექტორებს სავაჭრო წარმომადგენლების გარეშეც შეეძლოთ წარმოადგინონ საზოგადოება.

56.4. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი, დირექტორები კი პასუხს აგებენ სოლიდარულად. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი უძღვებოდნენ საქმეს 9.7 მუხლის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისგან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

მუხლი 15. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები

15.1. ამ კანონის მიხედვით, პრეტენზიები ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

15.2. დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების გარდა, მითითებული ორგანოების უფლებამოსილებანი დამატებით განსაზღვრული იქნება სააქციო საზოგადოების წესდებით, რაც შეეხება გასაჩივრებას, საზოგადოების ორგანოების ქმედებების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში კანონით დაწესებული ვადების დაცვით.

სოლომონ ჩოლოყაშვილი

ვარ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. ვმუშაობ არა საბიუჯეტო ორგანიზაციაში. მაქვს თუ არა უფლება, რომ ხელფასთან ერთად მივიღო პენსიაც?

ბატონო სოლომონ,

"სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის "გ" პუნქტის და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით:

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

გ) საჯარო საქმიანობა - ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

მუხლი 6. პენსიის მიღების უფლება

2. პენსიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

სონია ჩაკვეტაძე

გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც იყო სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი და პენსიონერი. მე ვარ შრომის პენსიონერი. მყავს ხუთი შვილი, რომლებსაც თავიანთი ოჯახები აქვთ და ცხოვრობენ დამოუკიდებლად. მე მარტო ვცხოვრობ რაიონში. მეკუთვნის თუ არა ჩემი პენსიის ნაცვლად გარდაცვლილი მეუღლის პენსია, რომელიც თანხობრივად მნიშვნელოვნად მეტია?

ქალბატონო სონია,

"ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 16. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა /გარდაცვლილთა/, მათ შორის ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა,ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა/შემგომში დაღუპულთა,გარდაცვლილთა/ სოციალური დაცვა

1. ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა.

2. დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ოჯახის წევრების სოციალური დაცვა ითვალისწინებს:

ა) საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

"სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 22. ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლებების შენარჩუნება

1. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პენსიები (პენსიის დანამატებთან ერთად), რომლებიც დანიშნულია ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით, ამ კანონის ამოქმედების დღიდან განიხილება, როგორც ამ კანონის თანახმად დანიშნული და გაცემული პენსიები და მათი გაცემა გაგრძელდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება ამავე აქტებით რეგულირებული პენსიების მიმღებ პირთა წრე, მათი მიღების უფლების წარმოშობის საფუძვლები და პენსიების ოდენობები:

დ) „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული:

დ. ა) ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის - 84 ლარი, ხოლო III ჯგუფის ინვალიდთა და 70 წელს გადაცილებულ II მსოფლიო ომის მონაწილეთათვის - 70 ლარი;

დ. ბ) ომის მონაწილეთათვის - 60 ლარი;

დ. გ) ომის მონაწილეებთან გათანაბრებულთათვის - 45 ლარი.

ხვიჩა გოგიშვილი

რა აუცილებელი იურიდიული ნორმები უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ დაარსდეს ყოველდღიური თუ ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გაზეთი? აუცილებელია თუ არა, რომ დამფუძნებელთა წრე ან რა შემთხვევაში დგება სარედაქციო საბჭო?

ბატონო ხვიჩა,

გაზეთის დაფუძნება შეუძლია როგორც ფიზიკურ პირს, ისე არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებსაც. რაიმე სპეციალური კანონი არ არეგულირებს გაზეთის დაფუძნებას. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ სამოქალაქო კოდექსიდან და "მეწარმეთა შესახებ" კანონიდან მუხლებს, რომლებიც ეხებიან იურიდიული პირების განმარტებებს:

მუხლი 30. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

1. იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა,შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის არაკომერციული იურიდიული პირის ხასიათს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებსა და ფონდის შემომწირველებს შორის დაუშვებელია.

2. კავშირი არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც.

3. ფონდი არის იურიდიული პირი, როცა ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას საერთოსაზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად საკუთრებად გადასცემს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც არა ჰყავს წევრები.

მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. მათი დაფუძნება

2.1. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი.

2.2. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

მუხლი 20. ცნება

20.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები - უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

20.2. პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

მუხლი 34. ცნება

34.1. საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები - კომპლემენტარები).

34.2. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

34.3. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

მუხლი 44. ცნება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

მუხლი 51. ცნება. საზოგადოების აქციათა რეესტრი

1. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე თხუთმეტ ათას ლარს.

მუხლი 60. ცნება

60.1. კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კავშირის და ფონდის დაფუძნება შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებსაც; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებისთვის საჭიროა მინიმუმ ორი ფიზიკური პირი; კომანდიტური საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭიროა მინიმუმ ორი პირი, საიდანაც ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური პირი, ხოლო მეორე როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც, როგორც ფიზიკურს, ისე იურიდიულს; კოოპერატივის დაფუძნებისათვის საჭიროა მინიმუმ ორი პირი, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

ნათელა გოგიშვილი

2005 წელს გამოვიდა კანონი "ატსტუპნიკების" შესახებ, სადაც მეორე მუხლის პირველ პუნქტში წერია, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს დამქირავებელს შესთავაზოს ოთახის კომპენსაცია, მაგრამ არ წერია, დამქირავებელს უფლება აქვს თუ არა, უარი თქვას კომპენსაციაზე, რადგან არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, მარტოხელა, 76 წლის მოხუცი და მას არ შეუძლია ქუჩებში იაროს რამოდენიმე თვე ბინის მოსაძებნად, თავი რომ შეაფაროს და ჩაწერაც მოახერხოს, რადგან ბინის ძებნის პერიოდში ჰკარგავს დახმარებასაც და დროებით პენსიის მიღებასაც. თუ დამქირავებელი გადაუხდის იმ ოთახის საბაზრო ღირებულების 10% აღნიშნული ბინის მესაკუთრეს, აქედან გამომდინარე, მე მომცემს თუ არა მესაკუთრეობას, ასევე თუ მაქვს უფლება კომპენსაციაზე უარის თქმის და მე გადავიხადო პირველმა 10%?

ქალბატონო ნათელა,

"საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ" კანონის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 11

კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამ კანონის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოსარგებლე - პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით;

ბ) რეგისტრაცია - „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის №323 კანონის (პარლამენტის უწყებანი, 30.07.96, გვ. 28) მიღებამდე არსებული წესით საცხოვრებელ ფართში რეგისტრაცია (ჩაწერა).

მუხლი 2

1. თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე), მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდის შემთხვევაში.

2. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

3. თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში.

4. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა).

5. თუ მოსარგებლეს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლება მოპოვებული აქვს ქირავნობის საფუძველზე, ის არ ჩაითვლება ამ კანონის 11 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოსარგებლედ და მასზე არ ვრცელდება ამ კანონით დადგენილი უფლებები.

6. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

7. თუ მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

8. იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებელი, შეუძლია მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებელეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას.

9. მოსარგებელე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას სახელმწიფოსგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

10. მესაკუთრეს უფლება აქვს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს. ამ შემთხვევაში მესაკუთრე უფლებამოსილია სასამართლო წესით მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება.

11. ამ მუხლით საცხოვრებელ სადგომად განისაზღვრება ის ფართი, რომელზედაც თავდაპირველად არსებობდა გარიგება მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ან გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 5

მოსარგებლე ვალდებულია დაკმაყოფილოს მესაკუთრის მოთხოვნა სადგომის განთავისუფლებაზე, თუ:

ა) მესაკუთრე მოსარგებლეს საკუთრებაში გადასცემს სხვა საცხოვრებელ სადგომს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, ერთ სულზე არანაკლებ ცხრა კვ.მ-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს იმ ფართობისა, რომელიც ეკავა მოსარგებლეს; ან

ბ) მესაკუთრე მოსარგებლეს მისცემს ამ მუხლის "ა" ქვეპუნქტში მითითებული საცხოვრებელი სადგომის ღირებულების კომპენსაციას.

მუხლი 8

თუ ამ კანონით დადგენილი უფლებები არ განხორციელდება 2010 წლის 1 იანვრამდე, მესაკუთრეს უფლება აქვს უპირობოდ მოსთხოვოს მოსარგებლეს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა.

მუხლი 81

ამ კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის გადახდის ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება 2007 წლის 1 იანვრიდან.

ლიანა ჯიბლაძე

1. მაქვს ერთოთახიანი ბინა 16კვ/მ, ბინა პრივატიზირებულია. ვცხოვრობ საბურთალოზე, მეუბნებიან, რომ უნდა გადავიხადო გადასახადი "ფართის" სახით წელიწადში 9 ლარი და 60 თეთრი. არსებობს თუ არა ასეთი გადასახადი, თუ ბინის ქირისაგან თავისუფალი ვარ როგორც პრივატიზირებული ბინის მქონე?

2. სახლმმართველობაში 2004 წლის სასმელი წყლის გადასახადი მთელი წლის ერთიდან თორმეტი თვის ჩათვლით გადახდილი მქონდა წლის დასაწყისში, შემდეგ შეუერთდა წყალკანალს და ახლა განმეორებით მთხოვენ გადახდას, გადახდილ ქვითარს არ მითვლიან, ჩვენი გაცემული ქვითარი არ არისო, მოსმენაც არ ინდომეს, რომ მე ვალი არა მაქვს. სახლმმართველობაში ნახეს, რომ დავალიანება არა მაქვს. მეორედ გადახდის საშუალება არა მაქვს.

ქალბატონო ლიანა,

საგადასახადო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 272. დაბეგვრის ობიექტი

4. ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

ა) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობ

უზუსტობები კიდევ უფრო დაგვაშორებს ერთმანეთს

2006 წლის მარტის პირველი რიცხვები სოხუმსა და თბილისს შორის კონფლიქტის ესკალაციით აღინიშნა: სამი ახალგაზრდა დააკავეს აფხაზეთში. ისინი დღემდე სოხუმის იზოლატორში იმყოფებიან. საქართველოს სატელევიზიო არხების მონაცემები გამსჭვალულია ამ ამბისადმი ღრმა ემოციურობითა და უარყოფითი წინასწარგანწყობებით. შედეგად, ობიექტური ინფორმაციის მიღება გაძნელდა. თუმცა მოვლენების ადეკვატური ანალიზი საჭირო და აუცილებელია.

2006 წლის 2 მარტს აფხაზეთის ტერიტორიაზე დააკავეს სამი პიროვნება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს ოჩამჩირისა და გალის რაიონის საზღვარზე მოხდა, საინფორმაციო სააგენტო "აფსნი.გე"-ს მონაცემებით - გულრიფშის რაიონში, რუსული საინფორმაციო საიტის "რეგნუმ.რუ"-ს მიხედვით - ოჩამჩირის რაიონში.

სამი ახალგაზრდა - თეა შარია, ტარიელ სოხაძე და თეიმურაზ ლიავა (უკრაინის მოქალაქე) არიან სტუდენტური ორგანიზაციის "შემოქმედებითი სალონის" წარმომადგენლები. "რეგნუმ.რუ"-ს ინფორმაციით, ისინი მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციაში "ეკლესიის აღორძინება - პატრიარქის რწმენა".

რაც შეეხება დაკავებულთა აფხაზეთში ჩასვლის მიზანს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ასახელებს მოქვის ეკლესიის გადაღებას დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის. "რეგნუმ.რუ"- ს ინფორმაციით, ჯგუფს ბედიის მონასტრის გადაღება უნდოდა.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, დაკავებულებმა თავდაპირველად განაცხადეს, ჟურნალისტები ვართო. შემდეგ მათ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებად გაუცვნიათ თავი. აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობების უკუთხით, ქრისტიან ბუანამ განაცხადა, რომ მოინახულა დაკავებულები. აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განცხადებით, დაკავებისას ტარიელ სოხაძე წარდგა "ქალაქ ლენინაკანში დაბადებული და გაზრდილი" სარქის ვარზგენის ძე მინოსიანის სახელით. "არც შარიას და არც სოხაძეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები არ ჰქონდა, გარდა პლასტიკური ბარათისა, რომელიც შარიას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჰქონდა მიღებული," - განუცხადეს "რეგნუმ.რუ"-ს კორესპონდენტს სოხუმში. თემურ ელიავას თან ჰქონდა უკრაინის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები აცხადებენ, რომ დაკავებულებს რელიგიური ძეგლების ფოტოების მაგივრად, აღმოუჩინეს ტყვარჩელის სალოცავის, სოხუმში მდინარე კელასურზე გადასასვლელი საავტომობილო და სარკინიგზო ხიდების, სადგურ გუმსკაიას სარკინიგზო პლატფორმისა და სოხუმის ხედების, ასევე, მთელი რიგი ობიექტების ფოტომასალა.

არც ერთი წყარო არ უარყოფს, რომ სამივე პირი ნაცემია - ეს არის ერთადერთი ინფორმაცია, რომელშიც ყველა საინფორმაციო საიტი ერთსულოვანია, თუმცა, ქართულ სატელევიზიო არხებზე თეა შარიას დამ, რომელსაც იზოლატორში მისი ნახვის საშუალება მისცეს, განაცხადა, რომ თეა არ არის ნაცემი და თავს კარგად გრძნობს. გასაოცარია ის უზუსტობები, რომელიც იკითხება ზემოთ დასახელებულ საინფორმაციო წყაროებში, ასევე, ის გაუგებრობა, რომელიც მოხდა სამი ადამიანის დაკავებისას.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ საინფორმაციო ქაოსმა კიდევ ერთხელ დაძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. კონკრეტულ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა არასწორი განცხადებები და არაადეკვატური ქმედებები გამოიწვევს ეთნოსთაშორის ურთიერთობებში არსებული უფსკრულის კიდევ უფრო გაფართოებას. დაკავებულებს სოხუმში ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებასთან საკითხზე უშუალო მუშაობის მაგივრად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვლავ ეუთოს, გაეროს და სხვა საერთაშორისო სუბიექტს მიმართა დახმარებისათვის, რითაც თბილისმა თითქოს აიცდინა სოხუმთან ურთიერთობა ამ მწვავე საკითხზე (ამის დამამტკიცებელია ისიც, რომ სოხაძისა და შარიას ნათესავებმა დახმარებისათვის გაეროს მიმართეს). სოხუმის ხელისუფლებისთვის კი, ცხადია, უფრო უკეთესი იქნებოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მუშაობა ტოტალური ქართველოფობიის დაძლევაზე.

გალაქტიონ ჩავლეიშვილი
საქართველოს ახალგაზრდა კონფლიქტოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე

აფხაზური ისტორია

მძიმე ხვედრი

გულახდილად რომ გითხრათ, ამ ისტორიის გახსენება არც კი მინდა.

ეს ამბავი კი ათი წლის წინათ, ჩვენი ომის დამთავრების შემდეგ გადამხდა. ომის მერე ყველა ყოფილ მებრძოლს რეაბილიტაციის კურსი უნდა გაევლო, მაგრამ ბევრმა არაფრად ჩააგდო ექიმთა თხოვნა და არ გაუვლია რეაბილიტაცია. მათ შორის იყო ჩემი ქმარიც.

ერთხელ ყველანი ჩვენს დიდ ოთახში ვისხედით და რაღაცაზე ვსაუბრობდით. იმ დროს მე მეორე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ, პირველი შვილი - გოგონა კი მხოლოდ თერთმეტი თვისა იყო. ვსხედვართ ასე წყნარად, ვსაუბრობთ, ვხუმრობთ რაღაცეებზე.

იქვე ჩემი მული ხარშავდა ღომს (ეს ჩვენი ნაციონალური საჭმელია) და უცებ, არ ვიცი რა ეტაკა, ჩემი ქმარი წამოვარდა და საკუთარ დას ჯოხით უმოწყალოდ ცემა დაუწყო.

ამის შემხედარე ისე ძალიან შევშინდი, რომ თვალთ დამიბნელდა, ხელი დავტაცე ჩემს პატარა შვილს და თავქუდმოგლეჯილი გავვარდი სახლიდან.

ჩვენ მაღალმთიან აფხაზურ სოფელში ვცხოვრობთ... საით მივრბოდი, ვერაფერს ვხედავდი და ვერც ვაცნობიერებდი.

თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ და რაღაც საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობ. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ: ფეხმძიმე ქალი, ამხელა მუცლით, ხელში პატარა ბავშვით შეუსვენებლად გარბის და გარბის. ის ვერაფერს გრძნობს, გარდა იმისა, რომ ერთი სურვილი აქვს, რაც შეიძლება შორს გაიქცეს, რომ საკუთარი და ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინოს...საით გარბის, არ იცის. რა ხდება მის თავს, არც ეს იცის.

გადის გარკვეული ხანი და ბავშვის ტირილის ხმა მაფხიზლებს და მიბრუნებს გონებას. ჩემი შვილი ტირის.

მერე თანდათან გონზე მოვედი, მივიხედ-მოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ ჩემს გარშემო ხალხს სულ სხვაგვარად აცვია, არა ჩემებურად. მათ არც ხალათები აცვიათ, როგორც მე, და არც სახლის ფაჩუჩები.

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ იმდენი მირბენია, ჩვენი მაღალმთიანი სოფლიდან ქალაქში ჩამოვსულვარ. მაშინ ვიგრძენი, რომ საშინაო ხალათსა და ფაჩუჩებში ჩაცმული სრულიად არ შევეფერებოდი ქალაქელთა ჩაცმულობას. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ჩემს თავს რაღაც საშინელება ტრიალებდა.

მე ხომ დაახლოებით სამი საათი მაინც დამჭირდებოდა, რომ ჩვენი სოფლიდან ქალაქამდე ჩამოვსულიყავი.

მივხვდი, რაც გადამხდა თავს, და წყნარად ავუყევი სოფლის გზას უკან, მთებისკენ.

მე ძალიან მეშინოდა, რადგან ვიცოდი, ჩემი ქმარი ამას არ მაპატიებდა. ვგრძნობდი, რომ სახლში დაბრუნებულს იქ საშინელება მელოდა. შეიძლება, იგი იმაზე უარესად მომძცეოდა, საკუთარ დას რომ მოექცა. სწორედ ამისი მეშინოდა, მაგრამ სხვა გზა მაინც არ მქონდა - სახლში უნდა დავბრუნებულიყავი.

იმდენ ხანს მოვუნდი სახლში დაბრუნებას, რომ... კიდევ კარგი, ჩემი ქმარი შედარებით დაწყნარებული დამხვდა. თუმცა მისი სიწყნარე მაინც მოჩვენებითი იყო. მე ყველაფერი მესმოდა, რადგან ვიცოდი, რა არის ფსიქიკური ავადმყოფობა.

რუბრიკას უძღვება
ლელა მარგიანი.
პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

"ერთად ევროპაში!"

ზაზა ფაჩუაშვილი

ეს მესიჯი რესპუბლიკური პარტიის წევრმა, პარლამენტარმა ივლიანე ხაინდრავამ აფხაზებს გაუგზავნა. მართალია, გამოხმაურება არ მიუღია, მაგრამ იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ევროპული ინტეგრაციისკენ მოწოდება აფხაზებთან ურთიერთობისათვის აუცილებელი პირობაა. მისი აზრით, ეს არის ერთადერთი მოწოდება, რომელსაც უნდობლობით თვით ყველაზე ეჭვიანი საზოგადოებაც კი ვერ შეხედავს. საუბარი ბატონ ივლიანესთან დღევანდელი დაძაბული ვითარებით დავიწყეთ.

ივლიანე ხაინდრავა.

- ბატონო ივლიანე, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ამ ეტაპზე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ასე დაძაბვა?

- დღევანდელ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ. ასეთი ეტაპები ადრეც იყო. მე უფრო ის განცდა მაქვს, რომ აფხაზური მიმართულება ოსურთან შედარებით მიგდებულია. ქართული ხელისუფლებისთვის სამხრეთ ოსეთი ჩამოყალიბდა, როგორც პრიორიტეტი და, როცა ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტია, მეორე პლანზე გადადის, მაშინ შესაბამისი ექსცესები ავტომატურად წარმოიშობა. მოლაპარაკებების ვაკუუმის შევსება ხდება ერთმანეთისადმი მტრული გამოხდომებით.

- ასეთ შემთხვევაში, რომელი მხარეა უფრო დამნაშავე?

- პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ყველაზე ნაწილდება. კონფლიქტურ ვითარებაში 100 პროცენტით მართალი და 100 პროცენტით მტყუანი არავინაა. მით უმეტეს, თუ ფიგურირებს მესამე მხარეც, რომელსაც თავისი ინტერესები ამოძრავებს და, შეიძლება, ყველაზე უფრო მტყუანი იყოს. ცხადია, რუსეთს ვგულისხმობ. რუსეთის მისამართით დასავლეთში სულ უფრო და უფრო ისმის მოწოდება, რომ, თუ იკისრეთ სამშვიდობო მისია, შეასრულეთ კიდეცო. რუსეთი ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა, მაგრამ რუსეთზე აპელირება და მასზე ყველაფრის გადაბრალება, პირადად მე, კარგა ხანია, მომბეზრდა. ჩვენს საქმეს, პირველ ყოვლისა, ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ.

ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ ხელიდან არის გაშვებული აფხაზებთან დიალოგის ახალ საფეხურზე აყვანის ხელსაყრელი მომენტი, მას შემდეგ, რაც საქართველოში და აფხაზეთში ხელისუფლება შეიცვალა. ხელისუფლებიდან წავიდა შევარდნაძე - აფხაზეთის მოვლენების ანტიგმირი, წავიდა არძინბა - ჩვენი თვალსაზრისით, აფხაზეთის ომის ანტიგმირი და გაჩნდა მოლოდინი, მათ შორის - აფხაზეთშიც, რომ ახალი პოლიტიკური ელიტების მოსვლა (თუმცა ბაგაფში და ანქვაბი მაშინაც იყვნენ პოლიტიკაში) გარკვეულ პერსპექტივას იძლეოდა. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა და აფხაზეთის საკითხი უყურადღებოდ დარჩა. ამას, ალბათ, ბაგაფშის პროქართულობის მითმაც შეუწყო ხელი, რომელმაც, ბაგაფში შეიძლება აიძულა კიდეც, ბევრად უფრო რადიკალური ყოფილიყო, ვიდრე აპირებდა.

- რატომ ხდება ასე, საქართველოს ხელისუფლებას რაიმე რესურსი აკლია?

- სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მაგიდაზე დაიდო კონკრეტული წინადადებები ქართული მხრიდან, შემდეგ - ოსური მხრიდან, იგივე რუსული მხრიდან. სერიოზული სხვაობის მიუხედავად, მათ შორის თანხვედრის კოეფიციენტიც საკმაოდ მაღალია - დაახლოებით, სამი მეოთხედი. ყოველ შემთხვევაში, საქართველომ მომგებიანი პოზიცია შეიქმნა. გეგმაში ჩადებული ეტაპები გონივრულია.

აფხაზეთთან დაკავშირებით, რატომღაც, ეს არ გაკეთებულა. რატომ, მართალი გითხრათ, არ მესმის. სხვა თუ არაფერი, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, საჩუქრის სახით მიიღო ის ცნობილი კონცეფცია, რომელიც შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ (ამ ჯგუფის წევრი მეც გახლდით). შეიძლება, ის კონცეფცია არ მიეღოთ, საკამათოდ გაეხადათ, ან სხვა შეექმნათ, მაგრამ რაღაც ხომ უნდა გაკეთებულიყო.

დღეს კი რა ხდება? - ორი კონფლიქტის მიმართ სხვადასხვა ვითარება გვაქვს. ოსებთან საუბარი საგნობრივად შეგვიძლია - დემილიტარიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება და სტატუსამდე მისვლა. აფხაზებთან კი არაფერი. ეს, ჩემი აზრით, წამგებიანია. გაცილებით უკეთესია, როდესაც ჩვენ სოხუმს, მოსკოვს, ბრიუსელსა და ვაშინგტონს ასევე საგნობრივად დავუწყებთ ლაპარაკს. ასეთ შემთხვევაში მოპირდაპირე მხარეს აიძულებ, პასუხი გაგცეს კონკრეტულ სამშვიდობო გეგმაზე - მოიწონოს, ან ალტერნატიული შემოგთავაზოს. ეს უკვე პროპაგანდისტულადაც მომგებიანი პოზიციაა.

- იგივე გეგმა აფხაზეთისთვის არ გამოდგება?

- მართალი გითხრათ, მე და ჩემი თანამოაზრენი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემებს იმთავითვე სხვადასხვა სიბრტყეში განვიხილავდით. სამხრეთ ოსეთზე, როგორც ავტონომიაზე საქართველოს შემადგენლობაში, საუბარი შესაძლებელია. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ოსეთის ძირითადი სამკვიდრო ჩრდილოეთ ოსეთია, რომელიც ტერიტორიით და მოსახლეობით ბევრად სჭარბობს სამხრეთ ოსეთს. ამიტომ საქართველოში ოსები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ეროვნული უმცირესობა.

აფხაზეთი სხვა ისტორიაა. საქართველოში აფხაზები ავტოქთონური ერია, სხვა სამშობლო და სამკვიდრო მათ არ გააჩნიათ და ამიტომ, საქართველო - მთლიანად და აფხაზეთი - კერძოდ, მათი მაღალი პოლიტიკური უფლებების რეალიზების ადგილი უნდა იყოს. ამიტომ, ერთ სიბრტყეში საქართველოს ეს ორი ნაწილი ვერ თავსდება. აფხაზეთის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში მართლაც განსაკუთრებული უნდა იყოს.

- თუმცა აფხაზური მხარე ამ განსაკუთრებულ სტატუსზეც აღარ გვთანხმდება.

- სამწუხაროდ, ასეა. კონფლიქტის პერიოდში იქითა მხრიდან კონკრეტული შედეგების მისაღწევად მართლაც იყო მზაობა. მე ვფიქრობ, რომ ქართული მხარე უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში თავის შესაძლებლობებს არარეალისტურად აფასებდა და ყურადღებას არ აქცევდა იმ გარემოებას, რომ ომი და ომის შედეგები პოლიტიკურ კონიუნქტურას ცვლის. მართალია, შევარდნაძე ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა რაღაც გაუგონარ ავტონომიაზე, მაგრამ კონკრეტული წინადადებები ოფიციალურად არც იმ დროს ყოფილა. ვერ ვიტყვი, რომ აფხაზები ამას დიდად ელოდებოდნენ, ისინი წარმატებით გაოგნებულებიც კი იყვნენ, რომ დე ფაქტო დამოუკიდებლობის ელემენტები მოიპოვეს, მაგრამ კომპრომისული ფორმებისადმი მზადყოფნა აფხაზეთში მაშინ უფრო იყო. ყოველ შემთხვევაში, მათი მხრიდან კონფედერაციის საკითხზე საუბარი (რომელსაც მე უარვყოფ, როგორც პრობლემის მოგვარების სტაბილურ გზას) ნამდვილად იყო. დღეს ასეთი საუბარი აღარაა. აფხაზური მხრიდან გვესმის, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რაც განმტკიცებულია მათი კონსტიტუციით, რეფერენდუმით და ა.შ.

- საიდან ასეთი თავდაჯერებულობა, თუკი მსოფლიო აღიარებს, რომ აფხაზებისთვის საქართველოს შემადგენლობაში ქართველებთან თანაცხოვრების ალტერნატივა არ არსებობს?

- მოდით, ვაღიაროთ - თავის დროზე დასავლეთმა აფხაზეთის კონფლიქტს წაუყურა და მეურვეობა გადააბარა რუსეთს, რომელიც მაშინაც და ახლაც აკეთებს იმას, რაც, მისი აზრით, რუსეთის ინტერესებში შედის. ვფიქრობ, რომ შორს მიმავალი პერსპექტივების თვალსაზრისით, არსებული მდგომარეობა მის ინტერესებში არ შედის, მაგრამ რუსეთს ასე ჰგონია და შესაბამისადაც იქცევა. უფრო მეტიც, აფხაზეთში კონფლიქტის მიმდინარეობისას და მისი დასრულების პირველ წლებში საზოგადოებრივი აზრი დემოკრატიულ ქვეყნებში საქართველოს სასარგებლოდ განწყობილი სულაც არ ყოფილა. ტენდენცია იყო ისეთი, თითქოს, აფხაზეთში უფრო ძლიერი, ქართული მხარე სუსტი, აფხაზური მხარის დაჩაგვრას ცდილობდა. წლები დასჭირდა იმას, რომ ამ კუთხით გარდატეხა მომხდარიყო. გარდატეხა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევი ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა. საქართველომ პოზიტიურად მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება, მაგრამ ამ დროისთვის საკუთრივ აფხაზეთში, უფრო სწორად, აფხაზობაში გაჩნდა შემდეგი განცდა: ავად თუ კარგად, ამდენი წელი საქართველოსთან რეინტეგრაციის გარეშე გავძელით და... რატომაც არა?! მსოფლიოში მიმდინარეობს გარკვეული პროცესები, ჩვენს თვალწინ იქმნება ახალი სახელმწიფოები და უსასრულოდ იწელება კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება: აღმოსავლეთ ტიმორი შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; ერითრეა ფაქტობრივად გამოეყო ეთიოპიას; ძალიან დიდი ხანია გადაუჭრელია ჩრდილოეთ კვიპროსის საკითხი.

ამასთან დაკავშირებით აფხაზობაში, რუსეთის წაქეზებით, გაჩნდა შესაბამისი განწყობაც: გავუძლოთ რაც შეგვიძლია დიდხანს, და მერე... რა იცი, რა ხდება. ცხადია, ამ განწყობაში ერთგვარი სასოწარკვეთაც იგრძნობა. საერთოდ, აფხაზებში არის ასეთი განცდა, რომ მათ ყველამ უღალატა, ყურადღებას არავინ აქცევს და ა.შ... რუსებიც კი არ არიან საიმედო პარტნიორები, მაგრამ სხვა არ არსებობს და აფხაზები იძულებულები არიან, ყველა კვერცხი რუსეთის კალათაში ჩადონ. აფხაზეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში სულაც არ არის რუსეთისადმი ერთმნიშვნელოვანი კეთილგანწყობა, მაგრამ საერთო აზრი ასეთია, რომ ქართველებმა მათ სხვა გზა არ დაუტოვეს. მე ვფიქრობ, რომ ასეთი მსჯელობა აფხაზური მხრიდან მთლად სამართლიანი არ არის, მაგრამ სიმართლის ელემენტები ამ განწყობაში, სამწუხაროდ, არის.

- თქვენი ჩამონათვალიდან, რომელი შეიძლება გამოდგეს, მაგალითად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემთხვევაში?

- არც ერთი არ გამოდგება და ეს ადრეც მითქვამს. თუ შეიძლება, საერთოდ, რაიმე პარალელის გავლება (თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა კონფლიქტი თავისებურია და პარალელების გავლება ყოველთვის სახიფათოა), გარკვეულწილად, მხოლოდ კოსოვოსა და ყარაბაღს შორის. კოსოვოსა და აფხაზეთს შორის პარალელის გავლება კი კატეგორიულად არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ დემოგრაფიული მდგომარეობაა კარდინალურად განსხვავებული. არის ინფორმაცია, რომ დღესაც კი აფხაზეთში აფხაზები აბსოლუტურ უმრალესობას კი არა, უბრალო უმრავლესობასაც არ წარმოადგენენ და მათ რიცხობრივად სომეხი წარმოშობის მოსახლეობა სჭარბობს. ამიტომ, კოსოვოს საკითხი მისი დამოუკიდებლობით რომც გადაწყდეს, აფხაზეთთან ანალოგიად არაფრით არ გამოდგება. ამასთან დაკავშირებით, პუტინისა და რუსი პოლიტიკოსების გაცხადებები საქართველოს მიმართ შანტაჟია; თუმცა სხვა მომენტებიც არსებობს. თუ საქმე კოსოვოს აღიარებით დასრულდა, ეს, რა თქმა უნდა, აფხაზებს დამატებით სტიმულ მისცემს.

- კონფლიქტების მოგვარებაში რამდენად დამაიმედებელი შეიძლება იყოს ჩვენი წინსვლა ნატო-სკენ?

- ჩემი აზრით, ნატო-ს სვლა საქართველოს არსებობა-არარსებობის საკითხია. ნატო უსაფრთხოების ის ერთადერთი სისტემაა, სადაც საქართველომ მშვიდად შეიძლება იგრძნოს თავი. თუმცა მე არ მგონია, რომ ეს ქართულ-აფხაზურ წინააღმდეგობებს არბილებდეს. სამწუხაროდ, მგონია, რომ ისევ და ისევ რუსეთიდან თავსმოხვეული განწყობების გათვალისწინებით, აფხაზეთში ნატო განიხილება, როგორც საფრთხე და არა როგორც უსაფრთხოება; როგორც მექანიზმი, რომლის მეშვეობით ქართველები ისევ "მოარჯულებენ" აფხაზებს. ასეთი განწყობა გამოწვეულია, ერთის მხრივ, ინფორმაციული ვაკუუმით, ნატო-ს ორგანიზაციისა და მისი განვითარების უცოდინრობით - რამდენად ყალიბდება ის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, განსხვავებით სამხედრო ფორმიდან, როგორადაც ის შეიქმნა და, მეორეს მხრივ, რუსული ინფორმაციული სივრცის ტყვეობით.

მე ვფიქრობ, რომ ნატო-ს კომპონენტის გაძლიერება შესაძლებელია საქართველოს ევროინტეგრაციის ლოზუნგითაც (თავის დროზე აფხაზებს მესიჯიც კი გავუგზავნე - "ერთად ევროპაში!"), იმიტომ, რომ შესაბამისი გაუთვითცნობიერების პირობებშიც კი ევროპა არ აღიქმება მილიტარისტულ და ვინმესადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაციად. პირიქით, ევროკავშირი შედარებით სუსტ წევრებს მეტ შესაძლებლობას აძლევს და რეგიონალურობისა და ავტონომიურობის პრობლემები მოგვარებულია უმაღლესი სტანდარტების მიხედვით. ამიტომ როდესაც ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, რაც ნატო-ს წევრობას ნიშნავს, პარალელურად აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ევროპულ ინტეგრაციაზე, რაც ევროკავშირის წევრობას გულისხმობს. ჩემი აზრით, ვინაიდან სააკაშვილი მისი პრეზიდენტობის პერიოდში (ასევე შესაძლო მეორე პერიოდშიც) რეალურად ვერ ხედავს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას, პოლიტიკური დღის წესრიგიდან ეს საკითხი ნელ-ნელა იშლება; რაც დაუშვებელია, თუნდაც, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში. მით უმეტეს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ჩვენზეა დამოკიდებული. თუ წარმატებული ქვეყანა ვიქნებით, შორეული პესპექტივა საკმაოდ მოგვიახლოვდება.

- თქვენს მესიჯს თუ გამოეხმაურა ვინმე?

- არა, არც მესიჯს და არც კონცეფციას არავინ გამოხმაურებია. ამას აფხაზეთში ვერავინ გაბედავს. აფხაზობა არის პატარა, დახურული და შეზღუდული საზოგადოება. ქართული მტრის ხატი კი ისე მძლავრად შექმნეს, რომ საქართველოსკენ გამოხედვა ნებისმიერს აფხაზეთში მცხოვრებს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. აფხაზეთში ძალიან მტკივნეულად და სახალხოდ რეაგირებენ აგრესიული ხასიათის ყოველ სიტყვაზე, რომელიც ქართული მხრიდან ითქმება და უყურადღებოდ ტოვებენ ისეთ პოზიტიურ გამოსვლებს, როგორიც ირაკლი ალასანიას ჰქონდა - რომ ქართველებმა ჩვენი შეცდომები და დანაშაულები უნდა ვაღიაროთ და გავაანალიზოთო. ასეთი განცხადებები სადღაც ილექება. აფხაზეთში კარგად იციან, ვინ რა განწყობილებისაა ქართულ მხარეს, მაგრამ სამსჯავროდ მხოლოდ აგრესიული პოზიციები გამოაქვთ.

- აშშ-ში არის მოსაზრება, რომ თუ აშშ უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებით შავი ზღვის გარშემო შეკრავს წრეს, ძალიან მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდება, და ამისთვის შეიძლება მოუგვარებელ კონფლიქტებზეც კი დახუჭონ თვალი. უფრო მეტიც, სწორედ ნატო-ში გაწევრიანება შეიძლება გახდეს საქართველოში კონფლიქტების მოგვარების წინაპირობა. თქვენ ასეთ მსჯელობას დაეთანხმებოდით?

- უთუოდ დავეთანხმებოდი. რეალიები ჩვენს გარშემო იცვლება და თუ ადრე კონფლიქტის მოგვარება ნატო-ს წევრობის განაცხადისათვს აუცილებელ პირობად მიიჩნეოდა, დღეს ასე აღარ არის. არა მგონია, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე წინასწარი გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყოს, მაგრამ ამაზე მსჯელობა საუბარი და ფიქრი რომ არის, ნამდვილია. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება აფხაზეთის კონფლიქტის მოუგვარებლად, იმიტომ, რომ სრულიად ნათელი და ცხადია, საქართველო ნატო-ს წევრი გახდება მის აღიარებულ საზღვრებში, ანუ აფხაზეთიანად და ოსეთიანად. რა თქმა უნდა, ასეთ გადაწყვეტილებას გარკვეული სიძნელეების გადალახვა მოუწევს რუსეთის მხრიდან, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთმა უკვე არაერთხელ ჩაყლაპა ნატო-ს გაფართოება - ნატო-ს წევრები გახდნენ ჯერ ყოფილი სოციალური ბანაკის ქვეყნები, შემდეგ - ბალტიისპირეთის ქვეყნები. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია რუმინეთისა და ბულგარეთის საკითხიც. რუსეთის უკანასკნელი მოკავშირის, სერბეთის საკითხიც განიხილება. ასე რომ, რუსეთს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გადაყლაპვაც მოუწევს. ნატო-ში გაწევრიანება კი კიდევ ერთი დემონსტრაცია იქნება აფხაზებისთვის, რომ ეს არის მათი რეალური უსაფრთხოების გარანტია, რომ ნატო-ს წევრ საქართველოში აფხაზების მიმართ რაიმე რევანშისტული ქმედება, უბრალოდ, გამორიცხული იქნება. იმიტომ, რომ ასეთია თამაშის წესები. ამიტომ, რაც უფრო მალე მივაღწევთ ნატო-ს სტანდარტებს, მით უკეთესი მთელი საქართველოსთვის.

- მაგრამ მანამდე წინ გვაქვს პარლამენტის ულტიმატუმი სამშვიდობოებთან დაკავშირებით.

ლოტი N	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში)	მიწოდების ადგილი	
					ქ. თბილისი	ქ. ქუთაისი
1	სოსისი	კგ	73325	20.04.06-31.12.06	43995	29330
2	საკმაზ-სანელებლები	კგ	2135	20.04.06-31.12.06	1281	854
3	არაჟანი	კგ	48423	20.04.06-31.12.06	29054	19369
4	ხაჭო	კგ	63000	20.04.06-31.12.06	37800	25200
5	მაიონეზი	კგ	29350	20.04.06-31.12.06	17610	11740
6	ყავა	კგ	2349	20.04.06-31.12.06	1409	940
7	კაკაო	კგ	1290	20.04.06-31.12.06	774	516
8	ხილფაფა, ჯემი	კგ	13470	20.04.06-31.12.06	8082	5388
9	მდოგვი	კგ	880	20.04.06-31.12.06	528	352
10	საწებელი	კგ	30095	20.04.06-31.12.06	18057	12038
11	პური I ხარისხი	კგ	8270.00	20.04.06-31.12.06	მარნეული	
12	პური I ხარისხი	კგ	85000.00	20.04.06-31.12.06	თელავი	
13	პური I ხარისხი	კგ	5375.00	20.04.06-31.12.06	დედოფლისწყარო	
14	პური I ხარისხი	კგ	1059563.00	20.04.06-31.12.06	თბილისი	
15	პური I ხარისხი	კგ	47790.00	20.04.06-31.12.06	ბათუმი	
16	პური I ხარისხი	კგ	21168.00	20.04.06-31.12.06	ახალციხე	

სატენდერო კომისია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახალ ღია ტენდერს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი- სოფლის მეურნეობის პროდუქტები
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 2006 წლის 6 აპრილის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 7 აპრილიდან 12 აპრილის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 12 აპრილს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2005 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);
2. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი N	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში)	მიწოდების ადგილი	
					ქ. თბილისი	ქ. ქუთაისი
1	კომბოსტო	კგ	150320.00	20.04.06-30.09.06	90192	60128
2	სტაფილო	კგ	73173.00	20.04.06-30.09.06	43904	29269
3	ხახვი	კგ	92104.00	20.04.06-30.09.06	55262	36842
4	ბადრიჯანი	კგ	29781.00	01.07.06-30.09.06	17869	11912
5	ატამი	კგ	15180.00	01.07.06-30.09.06	9108	6072
6	ქლიავი	კგ	10120.00	01.07.06-30.09.06	6072	4048

სატენდერო კომისია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საპოხი მასალების და სითხეების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი- საპოხი მასალების და სითხეები
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 10 აპრილის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 11 აპრილიდან 14 აპრილის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 14 აპრილს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

ლოტი N	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში)	მიწოდების ადგილი
1	ზეთი „მტ-16-პ"	კგ	35,000	01.05.06-31.12.06	ქ. თბილისი ქიზიყის ქუჩა N33
2	ზეთი „მ-8"გ	კგ	5,000		
3	სპეც. ზეთი „TSV"	კგ	1,000		
4	ზეთი საე „15W40"	კგ	25,000		
5	ზეთი საე „20W50"	კგ	15,000		
6	ზეთი „Automatik transmission"	კგ	1,000		
7	გამაგრილებელი სითხე	ლტ	30,000		
8	სამუხრუჭე სითხე „დოტ-4"	ლტ	3,500		
9	ეთილის სპირტი	ლტ	120		
10	საე15W40 (ტურბო)	კგ	5,500		
11	ჰიდრავლიკის ზეთი მარკა "რ"	კგ	3,500		
12	ზეთი მ-14 დმ	კგ	10,000		
13	ტრანსფორმატორის ზეთი	კგ	2,000		
14	ზეთი მს-20	კგ	17,000		

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული სარწყავი და დამშრობი სისტემების მოწესრიგების შესაბამისი მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი მომსახურება დაყოფილია ლოტებად შემდეგი სახით:

ლოტი №	რეგიონის დასახელება
1	თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი
2	შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი
3	კახეთი
4	იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 ივნისამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 4 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მაჩაბლის ქუჩა №8, სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი.

სატენდერო მოსაკრებელი უნდა ჩაირიცხოს: ერთიანი ანგარიში ცენტრალური სხვა ამკრეფი, არასაგადასახადო ეროვნული ბანკი, ანგ. № 200122900, ბანკის კოდი № 220101107, სახაზინო კოდი № 302003000. დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

4. პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში შესაბამისი აღნიშვნებით ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 აპრილიდან 7 აპრილის 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა №8, სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი. სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ;

ბ) ინფორმაცია მომსახურების შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ (მათ შორის სუბკონტრაქტორების).

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ (მათ შორის სუბკონტრაქტორების).

№	მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით
1 2 3					

6. საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზე.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

8. საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

9. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებების წარმოდგენა შესაძლებელია მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული გამოვლინდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლევან სილაგაძე, სტანისლავ ბერიკაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები, საკონტაქტო ტელ: 93-66-88, 99-74-41. მისამართი: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა №8, სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ მზიურის ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრა-გასხვლა ფორმირებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: 87 ძირი I კატეგორიის ხეების მოჭრა, 200 ძირი ხე-მცენარის ხმელი ტოტების გასხვლა - ფორმირება, ნარჩენების გატანა.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 30 აპრილი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 6 აპრილის 12 საათიდან 6 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 მარტის 12 საათიდან 2006 წლის 5 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

მოწვევა ფასთა კვოტირებაში მონაწილეობის მისაღებად (ITQ)

თარიღი: 15 მარტი, 2006 წ.
კრედიტის N: 3702-GE
IFB N: NS-16

1. საქართველომ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო კრედიტი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დაფინანსოს შესყიდული საქონლის (სამედიცინო აღჭურვილობა, სამედიცინო ინსტრუმენტები, სამედიცინო და საოფისე ავეჯი) დასაწყობება და დარიგება: ა) 63 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში და ბ) 2 რეგიონალურ ტრეინინგ-ცენტში რომლებიც განლაგებულია დასავლეთ საქართველოში (აჭარისა და იმერეთის რეგიონები)

2. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს ფასების მოსაწოდებლად ზემოხსენებული საქონლის შენახვა/დასაწყობებაზე და დარიგებაზე.

3. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ საკონკურსო დოკუმენტების პაკეტს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ოფისში შემდეგ მისამართზე:

ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
ქ. თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-19-39, 38-82-10, 38-82-20
ელ-ფოსატა: info@hpic.ge
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

4. საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი გაიცემა უსასყიდლოდ წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემდეგ.

5. ფასები წარმოდგენილ უნდა იქნას ზემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 24 მარტისა.

6. ფასების წარმოდგენა შესაძლებელია ფაქსითაც და ელექტრონული ფოსტითაც.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ხელმეორედ აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის შემდეგი საქონლის შესყიდვის მიზნით:

ლოტი N1 სამხრე - 5000 წყვილი;
ლოტი N2 პულოვერი - 2000 ცალი;
ლოტი N3 ბათინკი - 100 წყვილი.

დაფინანსების წყარო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

2. დაინტერესებულ პირებმა ღია ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის N345919, ბანკის კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გიაცემა ა.წ. 16 მარტიდან 5 აპრილამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

4, ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა- რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება, ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდეტებმა უნდა უზრუნველყონ უნიფორმის დამზადება მათდამი სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი უნიფორმის ესკიზების შესაბამისად.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცემები, სატენდერო წინადადება და ესკიზები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა.წ. 5 აპრილის 12 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი- დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან- რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა სასამართლოდან- რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან- რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ი'ყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტი ვერ გაივლის შერჩევას, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება და არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 5 აპრილის 12 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 5 აპრილის 12 საათზე.**

9. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: 51**7406.**

სატენდერო კომისია

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

სს"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში შეტანილია ცვლილება

1-ლ და მე-2 ლოტში
ლოტი 1 . ექვსი ობიექტის დაცვა
მისამართი -1. იოსებიძის N 71
2. .რუსთაველის N 12
3. ასს-40/41 ლილო კახეთის გზატკეცილი, საქნავთის დასახლება
4. ასს-60/61 ჩარგლის ქ. N7
5. ასს-63/64 მუხიანის დასახლება, ა.გობრონიძის ქ
6. ასს-71 მოსკოვის გამზ. N4ა
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

24 საათიანი დაცვა პერიმეტრის სრული კონტროლი. მკაცრად დაიცვას ა.ს.ს. ტერიტორიაზე შენობებში არსებული მატერიალური ფასეულობები, საწყობები, უზრუნველყოს თანამშრომელთა უსაფრთხოება, საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ზომები. ვადები - 30 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

ლოტი 2 . ექვსი ობიექტის დაცვა
მისამართი - 1. ასს-30 ძველი-უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკა, კორპუსი 5)
2. ასს-66/69 ბეჟანიშვილის ქ N11
. 3. ასს-67/68 გლდანის მასივი, IV მ/რაიონი
4. ასს-72 ბევრეთის ქ..N8
5. ასს-74 გარე ჯავახეთის ქ. N3
6. ასს-78 ვაზისუბანი III მ/რაიონი, II კვარტალი
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

24 საათიანი დაცვა პერიმეტრის სრული კონტროლი. Mმკაცრად დაიცვას ა.ს.ს. ტერიტორიაზე შენობებში არსებული მატერიალური ფასეულობები, საწყობები, უზრუნველყოს თანამშრომელთა უსაფრთხოება, საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ზომები. ვადები - 30 მარტიდან 30 დეკემბრის ჩათვლით

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის მიერ 2006 წლის 3 მარტის N45-ში, კომპიუტერების, ორგტექნიკის, საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადების შესახებ განცხადების მეოთხე ლოტში, მაქს. ფურცლის ზომა ნაცვლად A3 უნდა იყოს A4.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **932509 ზაურ ჯიოშვილი**.
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

აქცენტი

რამდენიმე PAS რუსთაველზე

სოფო კილასონია



ბევრი რამ დაგროვდა სათქმელი. იმდენად ბევრი, რომ გადავწყვიტე მეფიქრა და სანამ ამ აუტანელი და დამღლელი ყუთის ანუ მონიტორის წინ დავჯდებოდი, აზრები მომეკრიბა. იმაზე მაინც მეფიქრა, რითი დამეწყო...

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ქალაქში მკვლელების ძიებამ საზოგადოებას სხვა, გაჭირვებით მოპოვებული ინტერესები დააviწყა, მაინც ბევრი გამოვტოვე თურმე. ბევრი თუ არა, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის რამდენადმე მნიშვნელოვანი ამბავი მაინც. მაგალითად, რად ღირს გამოფენა, რომელიც გენდერული თანასწორობის შესახებ წამოწყებული "კამპანიის" გაგრძელება გახლდათ და რომელიც ხელოვნების მუზეუმში გაიმართა ადგილობრივი კოლექციების რესურსების გამოყენებით. ანდა ახალი სპექტაკლი "დარისპანის გასაჭირი". მის შესახებ გვამცნეს, რომ წარმოდგენა ექსცენტრიკული ტრაგიკომედიის ჟანრში იქნებოდა გადაწყვეტილი. ამას კიდევ რა უჭირს, თეატრში მისულთ "ქართული თეატრის კიდევ ერთი აგრესიული დრამა-ფიასკო" რომ არ დაგვხვედროდა. კიდევ იყო რაღაცები, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ეს საკითხები ხიბლავდა გონებას და კიდევ რამდენიმე კითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად მოარგეს გენდერული პრობლემების მზა პროექტი ქართულ ვარიანტს და რატომ არ იწყებენ რეჟისორები საკუთარი პიესების დადგმას, რით არ მობეზრდათ სხვადასხვა ავტორებზე საკუთარი ღვაწლისა და მიგნებების დაბრალება? საიდან ასეთი თავმდაბლობა ქართველებს? მაგრამ არა, ეს აფიშებისა და საანონსო ცნობის ფურცლების ავტორთა შეცდომა და უზუსტობაა. დავაკონკრეტებ ჩემს მიგნებას. იქ, სადაც დრამატურგებისა და პიესების ავტორთა სახელი და გვარი წერია ხოლმე, ყოველთვის რამდენიმე სიტყვა გვაკლია. მაგრამ ამას მას შემდეგ მიხვდებით, რაც წარმოდგენას იხილავთ. მაგალითად, არა ჟან პოლ სარტრის "ბუზები", არამედ A La ჟან პოლ სარტრის "ბუზები". მკითხველი მიმიხვდება, რომ ეს პიესა ამჟამად არც ერთი თეატრის რეპერტუარში არ არის და ეს კომპრომისი ჩვენი მხრიდან სრულიად შეგნებულია.

მოკლედ, მე იქ ვიყავი, გავლაგამოვლას რომ ვაპირებდი, თანაც მარტოდმარტო, მაგრამ სეირნობაში გამოუცდელმა, დროც და ადგილიც სრულიად უნიჭოდ შევარჩიე. წინ, მიზნამდე, ერთ მეგობართან ერთად მომიხდა სიარული, უკან – მეორესთან. თუმცა, მათთან საუბარში ჩემთვის საინტერესო ამბებს მაინც შევეხე. რადგან პირველი ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ, თავისთავად ცხადია, საუბრის თემაზე ბევრი არ მიფიქრია. თავი მოვისაწყლე, როგორც ჟურნალისტთა უმრავლესობა აკეთებს ხოლმე რესპონდენტის წინაშე და ვთხოვე, გვეკრკვიე საქმის ვითარებასა და იმ პროცესებში, რომელიც გენდერული თანასწორობის შესახებ წამოიწყეს თბილისში. ამასობაში თიემეს გალერეას ჩავუარეთ. სწორედ იმ დროს ამ თემისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენაც მიმდინარეობდა. "ბევრი ვიცინე ამ გამოფენაზე" – მეუბნება მოსაუბრე ნომერი პირველი. როცა ჩავეკითხე, თუ რატომ, აღმოჩნდა, რომ, მისი აზრით, ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, "თითიდან გამოწოვილი" გახლდათ. ასე უყურებდა ჩემი ლიბერალი და ინტელექტუალი მეგობარი ამ ამბავს და არა იმიტომ, რომ პარლამენტარ ჯუღელისა და კიდევ სხვა თანამედროვე ქართველი ტრადიციების მოყვარული მამაკაცების თანამოაზრეა, არამედ იმიტომ, რომ მასაც ჩემსავით არ მოეწონა ამ პრობლემის გაშლა და აქცენტები, რაღაც ვერ გაუგო ქართულ ფემინიზმს, რომელსაც ის გამოეპარა, რომ ძალადობა ქალზე ჩვენთან სოციალური ნიშნით დაიწყო და დღესაც ეს უფრო აქტუალურია, ვიდრე სხვა ნიშნის პრობლემები ამ თვალსაზრისით. "იცი, აჯობებდა ჩვენი მამაკაცების საზოგადოებრივ-სოციალური ფუნქციების აღდგენის საკითხი დაისვას და მათი ქალბატონებიც მაშინ ამოისუნთქებენო", – ჰო, ეს კიდევ დიდი ხნის წინ წამოჭრილი და მერე კარგად მივიწყებული პრობლემა, როცა სურათი დაახლოებით ასე იშლებოდა: "ქალი ქუჩაში და კაცი ტახტზე წამოგორებული". დიახ, ასე იყო და ხშირ შემთხვევაში ახლაც ასეა. ამ საკითხზე გამოფენები არ მოუწყვიათ, არც ფოტოები გადაუღიათ. ჩვენთან ქართველი ქალის უსუსურობაზე საუბრობენ და მამაკაცისადმის სრულ მორჩილებას დარდობენ, მაშინ როცა ქართველმა დედამ მამის ფუნქციებიც აითვისა და შეითავსა და ოჯახის სრულ მეურვეობასაც თავად კისრულობს. მაშინ, როცა უთვალავი სოციალური პრობლემა ქალსაც და კაცსაც ახრჩობს, იდეებისგან დაცლილი საზოგადოება ჯდება და აუღელვებელი ტონით ოჯახური ცხოვრების, ქალის დამოუკიდებლობისა და პარტნიორების თავისუფალი არჩევის ევროპულ სტანდარტებზე საუბრობს. შემდეგ კი მიდიან გამოფენებზე, სადაც ყველა ის ნახატია წარმოდგენილი, რომლებზეც ქალი და კაცი ერთნაირ ქმედებას ასრულებენ და ამ ყველაფერს ის საზოგადოება უსმენს და უმზერს, რომელსაც ცხოვრებაში დიდი ხანია "ღამის შოუს" მეტი აღარაფერი ართობს. რაც შეეხება ამ ბოლო დროს თბილისში წარმოდგენილ ე.წ. კონცეპტუალურ გამოფენებს, რომლებიც ამ ამბავშიც სერიოზულად ჩაერთვნენ, ისინი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული საზოგადოების ჭეშმარიტ პრობლემებსა და მათ ვარიაციებს არათუ იზიარებენ, არამედ მათ შესახებ არც წარმოდგენა აქვთ და არც ამ წარმოდგენის შექმნის სურვილი.

უკან სვლა ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ერთობ გამაოგნებელ ქართულ თეატრალურ მოვლენებსა და პროცესებს ჩასაფრებულმა კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე. თუმცა, ამ აღმოჩენაში მოსაუბრე ნომერი ორი დამეხმარა. რუსთაველის თეატრთან ჩამოვიარეთ და საქართველოში ახლახან დაბრუნებულ ახალგაზრდა ქალბატონს ვკითხე, თუ დადიოდა თეატრებში და კონკრეტულად ამ თეატრში. აღმოჩნდა, რომ სისტემატურად, ისე რომ წარმოდგენების უმეტესობა ნანახი ჰქონდა. - და მერე? – ასე მარტივად ჟღერდა ჩემი კითხვა. "არაფერი. აქ სულ ყვირიან, პათეტიკა ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია. პატარა თეატრებში ძალიან მდარე იუმორია. და კიდევ, სულ ყველგან შარდავენ..." - რომ ვთქვა, ამგვარმა დახასიათებამ გამაკვირვა ან გამაცინა-მეთქი, ტყუილი გამომივა, მაგრამ ერთი რამ შევნიშნე. მიზანსცენა, სახელად "მოვშარდოთ სცენაზე" მართლაც ძალიან აქტუალურია და ეს აქამდე ვერ შევნიშნეთ. შესაძლოა, შევნიშნეთ კიდეც, მაგრამ კომპლექსებმა ქვეცნობიერად იმუშავეს და მიჩქმალეს ქართული რეჟისურის ეს უთუოდ დიდი მიგნება. მაგრამ მაინც, როგორც ამბობენ ხოლმე, ვერ მოვინელე ჩემი სიბრმავე, მაინც რატომ არ ავდექი და არ დავახარისხე წარმოდგენები იმის მიხედვით, თუ როგორი ვარიაციებით თამაშობენ სცენაზე მსახიობი მამაკაცები ამ ღრმადშინაარსიან, იდეურად დატვირთულ მიზანსცენას. უკვე მდარე იუმორში გადასულ მსჯელობაში მაინც მოსაუბრე აქტიურობდა და კითხვებს მაყრიდა, თუ რატომ ხედავდა ამ სცენას ლამის ყოველ სპექტაკლში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვუპასუხე. უბრალოდ, ამა თუ იმ სპექტაკლში მსგავსი სცენების არსებობას ხშირად უარვყოფდი, მაგრამ ის ჩემი მეხსიერების ხარისხზე წუხდა და ძალზე კონკრეტულად იხსენებდა მომენტებსა და წარმოდგენებს. უცნაურად ჩიჩვავდა მხრებს და ვერ გაეგო, რატომ არის ქართული საზოგადოებისთვის აქტუალური ამგვარი სცენებისგან შედგენილი წარმოდგენების საათობით ყურება. მე კი მაინც მგონია, რომ ჩემი თანამოსაუბრე ნომერი ორი ჯერ კიდევ ჰოლანდიაშია და არ ჩამოსულა. აქ სახელმწიფო თეატრებშიც კი იმას დგამენ, რაც, დიდი-დიდი, მათვე აწუხებს, ანდა ფიქრობენ, რომ საზოგადოება ძალიან ბნელია და ამგვარი ფანდებით პირს დააღებინებენ.

გერმანული აბსტრაქციონიზმი საქართველოში

მზევინარ ხუციშვილი

ტილერის გრაფიკა.

გუშინ საღამოს თბილისის ისტორიის მუზეუმის, "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში სამი გერმანელი მხატვრის ბერნარდ შულცეს (1915 – 2005), ემილ შუმახერის (1912 – 1999), და ფრედ ტილერის (1915 – 1999) ნამუშევრები წარმოადგინა გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის (ifas) წარმომადგენლობამ, რომელიც გოეთეს ინსტიტუტის შუამავლობით შედგა. კერძოდ, სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული გრაფიკა, გუაში, გრავიურა და ფერწერა. სამივე მხატვარი გერმანული ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში ახალი მხატვრობა დაამკვიდრეს.

გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა უვე რიკენმა ისაუბრა ამ სამი მხატვრის შემოქმედებაზე და აღნიშნა მათი მნიშვნელობა გერმანულ ხელოვნებაში. "სამივე მხატვარი არ დანებდა ომის მიმდინარე პროცესს. მათ წინსვლა არჩიეს. ეს არის ნაბიჯი ექსპრესიონიზმიდან აბსტრაქციონიზმამდე. ისინი გერმანული აბსტრაქციონიზმის მეორე თაობაა. დღევანდელი გამოფენა კი არის გაგრძელება იმ ორი გამოფენის, რომელიც გოეთეს ინსტიტუტში იყო წარმოდგენილი."

ბერნარდ შულცეს ნამუშევრებს სიზმრების სამყარო ანუ "სიურეალისტური" მაგია ახასიათებთ. ეს ეხება, როგორც გრაფიკას, ასევე ფერწერას, რამეთუ მის შემოქმედებაში ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანია. ბერნარდ შულცემ გრაფიკის გამოხატვის ყველანაირი საშუალება გამოსცადა - ფანქარი, აკვარელი, შერეული ტექნიკები, კოლაჟები და ობიექტები. 1953–დან 1992 წლამდე შესრულებული ნახატებიდან შერჩეული ნამუშევრები მის შემოქმედებას საუკეთესო ჭრილში წარმოადგენს.

ემილ შუმახერი გერმანული "ინფორმელის" ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იგი სიცოცხლის ბოლომდე მისდევდა და განავრცობდა უსაგნო მხატვრობას, რომლის ცენტრშიც თავად მხატვრობაა მოქცეული. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მისი მრავალფეროვანი შემოქმედების აქტუალურ ასპექტს უსვამს ხაზს.

ფრედ ტილერის შემოქმედება კი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მას არაა აქვს პრეტენზია, მისი ნამუშევრები მაღალ ხელოვნებად ჩაითვალოს. " მართალია ჩვენ მხატვრობაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ამით ხელოვნებას არ ვგულისხმობთ", ამბობს ის. როგორც "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზის კურატორმა ქალბატონმა ლიკა მამაცაშვილმა გვაცნობა გამოფენა ათ აპრილამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც გერმანელი მხატვრების კიდევ რამდენიმე გამოფენას შემოგვთავაზებენ, ანუ წელს გერმანელი შემოქმედების ხილვით განებივრებულნი ვიქნებით.

ორი ცნობილი ბრიტანელი

ბოლო დროს რეიჩელ ვეიზი განუწყვეტლივ იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. ჯერ "ოქროს გლობუსზე" დონა კარანის ოქროსფერი კაბით, შემდეგ "ოსკარზე" ნარსისო როდრიგესის შავი კაბით და ბოლოს კიდევ ერთი ამბით მოდის სფეროდან – ის "ბარბერის" სახე გახდა და ახალი სუნამოს "ლონდონის" სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობს.

35 წლის მსახიობი, რომელიც შვიდი თვის ორსულია, მოდის ინდუსტრიის ახალი ფავორიტი და აღმოჩენა გახდა. მისი პოპულარობა ერთიორად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ფილმში "მარადიული მებაღე" შესრულებული როლისთვის "ოსკარი" მიიღო.

რაც შეეხება მოდას, რეიჩელ ვეიზი, "ესოშიეიტიდ პრესთან" ინტერვიუში აცხადებს: "ძალიან მიყვარს ლამაზი ნივთები და ლამაზი მოდა. ტანსაცმელიც გემოვნებით შეკერილი მიყვარს, ზედმეტი დეტალებისგან თავისუფალი". მისი საყვარელი დიზაინერი როდრიგესია. ის ხშირად ესწრება ხოლმე დიზაინერის შოუებს ნიუ იორკის მოდის კვირეულებზე, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, პრიორიტეტები მაინც ეროვნულობის გათვალისწინებით დგება ხოლმე. ვეიზს ხომ სწორედ თანამემამულე "ბარბერიმ" შესთავაზა გარიგება.

"მე ბრიტანელი ვარ. გავიზარდე იმ შეგნებით, რომ "ბარბერი" პირველი ბრენდი იყო ისტორიაში თავისი ელეგანტურობით, ქალურობით და შარმით. მახსოვს, ბებიაჩემს, რომელიც ყველაზე მოდური ქალი იყო მათ შორის, ვისაც ვიცნობ, "ბარბერის" საწვიმარი ჰქონდა. ის დღესაც ცნობილი და გემოვნებიანი ბრენდია და როცა თანამშრომლობა შემომთავაზეს, უყოყმანოდ დავთანხმდი, თან ძალიან გამეხარდა".

სუნამო "ლონდონი" მსუბუქი და ყვავილოვანი სურნელია. ვეიზი აცხადებს, რომ მას ძალიან უყვარს სანდალვუდზე დაფუძნებული არომატები. ორსულობამ მისი ყნოსვა განსაკუთრებით გაამძაფრა, მაგრამ "ლონდონი" მაინც ძალიან მოსწონს. ერთადერთი მისი კაპრიზი ყველია – სულ ყველი უნდა, თუმცა, ეს ხომ "ბარბერისთან" არაფერ შუაშია...

16 მარტი

თეატრი

თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი
"ქალაქი ალყაში"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

კინომსახიობთა თეატრი
"ხვალ შობაა"
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ანტონ ჩეხოვი
"დათვი"
რეჟისორი: რამაზ ზურაბაშვილი
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რევაზ გაბრიაძე
"ბედნიერი ერი"
რეჟისორი: გორა კაპანაძე
დასაწყისი: 18.00

თავისუფალი თეატრი
"ბერნალდა ალბას სახლი"
დასაწყისი: 19.00

სამეფო უბნის თეატრი
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი გიორგი თავაძე
დასაწყისი: 19.00

TV5MONDE

16 მარტი

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ისტორიის 24 საათი. ტრეზა და ალბერი. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.05** ბაღი და დასვენება. **13.15** ცივილიზაციები. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** ბაქანი N1 ტელესერიალი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** არტ რეპორტაჟი. **21.40** მუხანათობა. მხ ფილმი. რეჟისორი ლუ ჟენე. 2004. **24.00** დაკარგული შვილები. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ დუტი. 2002. **02.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

მეუღლე ვიოლა ქუთათელაძე; შვილები მალხაზი, მირიანი; რძლები მარინა, თამრიკო; შვილიშვილები: ნინო, ირაკლი, თინიკო, ნიკა, ელენე; და ნათელა; დიშვილები მარინა, თამილა, გუჯა, ნანა; ძმიშვილები თამაზი, ლილი, მაია; ბიძაშვილები, დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, კინოოპერატორი

ირაკლი ივანეს ძე ონოფრიშვილი

პანაშვიდი: 16, 17 მარტი, 17 საათზე; მისამართი: ამბროლაურის ქ. 166, პირველი კორპუსი, მე-3 სადარბაზო;
გამოსვენება: 18 მარტი, 3 საათზე ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოსთან).